გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთია

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№70 (1099) 24 - 25 ივნისი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ვახტანგ გომელაური: „გული მწყდება, როცა საუბრობენ, დააგვიანესო, მით უმეტეს, ერთი მაშველი დაიღუპა“

გვ. 2

ნაღმი გმირთა მოედანზე

სასტუმრო „ჰაიატის“ მშენებლობა შეჩერდა. გათხრილი საძირკველი, რომელიც მდინარე ვერეს კალაპოტს ესაზღვრება, გრუნტის წყლით აივსო და ტბად იქცა

გვ. 3

იხდის თუ არა შეჩერებული მშენებლობის გამო ჯარიმას ბიზნესმენი რომან ფიფია

„ვთხოვთ მთავრობას, გააგებინოს მსოფლიოს, რომ საქართველოში ჩამოსვლა უსაფრთხოა“

გვ. 7

სასტუმროებისა და ჰოსტელების მეპატრონეები ტურისტული სეზონის ჩავარდნას პროგნოზირებენ

თბილისის სეისმური საფრთხეები

გვ. 7

გეოლოგები და სეისმოლოგები ახალი რაიონული რუკების შექმნას ითხოვენ

რა იწვევს პედოფილიას და როგორ დავიცვათ ბავშვები პედოფილებისგან

სექსოლოგ ზურაბ მარშანიას რჩევები

გვ. 8

აშშ აღმოსავლეთ ევროპაში ტანკების შეყვანას აპირებს

გვ. 9

The New York Times

ვარკეთილში მომხდარი მკვლელობის საზარელი დეტალები

საცოლე გაგუდა, დაანაწევრა, სხეულის ნაწილები ცელოფნის პარკებში გადაანაწილა და ნაგვის ურნაში ჩააგდო

გვ. 6

პატიმრის დღიური

ვახტანგ გომელაური: „გული მწყდება, როცა საუბრობენ, დააგვიანესო, მით უფრო, რომ ერთი მაშველი დაიღუპა“

შს მინისტრ ვახტანგ გომელაურის განცხადებით, 13 ივნისის ღამეს ძალიან ბევრი გამოძახება იყო, რადგან თბილისში წვიმდა და ქალაქი იტბორებოდა.

მისი თქმით, სამუშაოებში პოლიცია და სამაშველო სამსახური თავიდანვე იყვნენ ჩართულები: **„მართლა ვწუხვარ, როცა ამბობენ, თითქოს მაშველებმა დააგვიანეს, პოლიციამ დააგვიანა. მგონი, ყველამ დაინახეთ, რა მოხდა, ჩართული იყო ყველა მაშველი. მანამდე იყო ძალიან ბევრი გამოძახება. ეს ყოველთვის ხდება თბილისში, როდესაც წვიმს, იტბორება ქალაქი... ძალიან ბევრ ადგილზე იყვნენ გასულები და ბევრგან აღარ დასჭირდა ამოტუმბვა სარდაფებიდან, უკან მობრუნდნენ. ყველა გამოსული იყო, ჩართულები იყვნენ. პირველი ზარი დატბორვაზე იყო შემოსული, გავიდნენ და უკან დაბრუნდნენ. არ დასჭირდათ მერე ამ წყლის ამოტუმბვა. იყო ასეთი, ასე გაჟღერდა სამწუხაროდ, რომ 22:07-ზე შემოვიდა განგაშის ზარი და სადღაც 00-ზე ან 23 საათსა და რაღაც წუთზე გავიდა სამაშველო. ეს ტყუილია და გული მწყდება, რომ ასეთი საუბარია ჩვენს მაშველებზე, მითუმეტეს ერთი მათგანი დაიღუპა. ასე ვთქვათ, კრიზისული მდგომარეობა, ღვარცოფის მოვარდნა, დაახლოებით 12 საათის შემდეგ დაიწყო. არავინ იცოდა, რა მოხდებოდა. ჩვეულებრივ, წვიმდა. ეს, კიდევ ვიმეორებ, ყოველთვის ხდება თბილისში, როცა წვიმს. სამწუხაროდ ყოველთვის იტბორება გზები და ძალიან ბევრი ზარი შემოდის. რა თქმა შეფერხებები იყო. არც ვამბობ, გამოიძახეს თუ არა, 2 წუთში მივარდა იქ სამაშველო სამსახური და დაიწყო მუშაობა-თქო. სვანიძის ქუჩაზე პირველი პატრული მივიდა, კადრებშიც ჩანს, რომ ბავშვი პატრულებმა გამოიყვანეს. თვითონ მოსახლეობაც დაეხმარა პოლიციას. რა თქმა უნდა, იყო რაღაც შეფერხებები. მერე პირველ რიგში გამოსულები იყვნენ იქედან გამომდინარე, რომ მეწყერი ჩამოწვა, მეწყერზე გამოძახებული მოძრაობდნენ უკვე წყნეთის მიმართულებით, წყნეთი-ბეთანიის მიმართულებით და იქედან შეფერხდნენ და ამას შეესწრნენ. ამ წყალდიდობას ვერანაირად ვერ მოასწრებდნენ მაშველები. ეს მოხდა წამებში, დაიტბორა ყველაფერი, იმხელა ღვარცოფი მოვარდა. ასე რომ გამოძახებიდან რაღაც 10-15 წუთი მაინც სჭირდება, რომ ბაზაზე ჩასხდნენ მანქანაში და გამოვიდნენ. იქვე იყვნენ მაშველები თუ ნახეთ, თუ ხედავთ კადრებში, ძალიან მალევე იყვნენ იქ. იმიტომ, რომ ისინი გამოსულები იყვნენ წყნეთი-ბეთანიის მიმართულებით და ამას შეესწრნენ“.**

„ვერსიანიუსი“

სპეციალისტებმა „ლაგუნა ვერესთან“ აღმოჩენილი თხევადი ქლორის კონტეინერები უსაფრთხო ადგილას გადაიტანეს

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს თანამშრომლებმა „ლაგუნა ვერეს“ მიმდებარე ტერიტორიაზე 2 ერთეული თხევადი ქლორის სპეციალური კონტეინერი აღმოაჩინეს.

როგორც შსს-ში აცხადებენ, ქლორის გაჟონვის საფრთხე არსებობდა, რის გამოც რიგი ღონისძიებები ჩატარდა: **„ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ (ქბრბ) ინციდენტებზე რეაგირების განყოფილების ჯგუფმა კონტეინერები ოპერატულად ამოიღო. შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ქბრბ ინციდენტებზე რეაგირების განყოფილების სპეციალისტებმა აღმოჩენილი ნივთიერება შემდგომი უტილიზაციის მიზნით უსაფრთხო ადგილზე გადაიტანეს“.**

„პირველი“

სურსათის ეროვნული სააგენტო სასმელი წყლის უსაფრთხო გამოყენების რამდენიმე რჩევას იძლევა

სურსათის ეროვნული სააგენტო მოსახლეობას, 13-14 ივნისის სტიქიის შემდეგ, სასმელი წყლის მიღებასთან დაკავშირებული რისკების თავიდან ასარიდებლად, რამდენიმე რჩევას აძლევს.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, თბილისში მომხდარი სტიქიის გამო, წყლის სინჯების კვლევა თბილისის სხვადასხვა უბანში, მათ შორის, სტიქიის შედეგად დაზარალებულ წერტილებში მიმდინარეობს.

სააგენტოს ცნობით, კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერთან“ ერთობლივად და მისი კვლევის პარალელურად სასმელი წყლის 48 სინჯის კვლევა აკრედიტებულ ლაბორატორიებში ხორციელდება.

კვლევის შედეგებმა კი აჩვენა, რომ წყნეთის ქუჩაზე, ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილზე, კოსტავას ქუჩასა და ბაგებში, წყნეთის გზატკეცილზე აღებული წყლის სინჯები შეესაბამება სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს.

მათივე ინფორმაციით, სინჯები, ასევე, სვანიძის, ატენის, გაბაშვილის, გედევანიშვილის, დოლიძის, ქარელის, ლიხაურის, ჩიქოვანის, მელიტონ და ანდრია ბალანჩივაძეების ქუჩებიდანაა აღებული.

რისკების თავიდან ასაცილებლად, სურსათის ეროვნული სააგენტო მოსახლეობას ურჩევს, წყალი ონკანიდან 2-3 წუთის განმავლობაში ადინოს, დააყოვნოს სუფთა ჭურჭელში და მხოლოდ ამის შემდეგ გამოიყენოს სასმელად.

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ კი პრევენციის მიზნით, სასმელი წყლის ორმაგ დაქლორვას ახორციელებს.

„პირველი“

ქართველმა სამხედროებმა ბალხის პროვინციაში პატრულირება განახორციელეს

ბალხის პროვინციაში, გერმანულ სამხედრო ბაზაზე დისლოცირებული IV მექანიზირებული ბრიგადის გაძლიერებული ასეულის სამხედროებმა პატრულირება განახორციელეს.

ქვეითად გადაადგილების დროს, ქართულმა ქვედანაყოფმა მიწაში ჩაფლული ძველი საბრძოლო ნივთიერებები შეამჩნია, რის შემდეგაც სტანდარტული პროცედურის თანახმად საინჟინრო ჯგუფის გამოძახება მოხდა. გამნაღმველებმა საეჭვო ტერიტორია დეტალურად შეამოწმეს და გაწმინდეს. პატრულირება 12 საათის განმავლობაში გრძელდებოდა.

ქართული ასეულის პატრულიების მიზანი ბაზა „მარმალის“ დაცვა, საპატრულო რაიონის კონტროლი, მოწინააღმდეგის თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა და ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფაა.

ქართველმა სამხედროებმა ბაზა „მარმალზე“ გერმანული სწრაფი რეაგირების დანაყოფი ჩაანაცვლეს.

„პირველი“

სტიქიის ზონაში არსებული უძრავი ქონების ინვენტარიზაცია დასრულდა

სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთათვის, დახმარების დროულად აღმოჩენის მიზნით, თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტომ, სტიქიის ზონაში არსებული უძრავი ქონების ინვენტარიზაცია დაასრულა. კერძოდ, სპეციალურმა ჯგუფებმა დეტალურად აღწერეს ვერეს ხეობის, სვანიძის ქუჩის, მზიურისა და ახალი გზის მიმდებარე ტერიტორია. აღწერილი ქონება მოქცეული იქნება მონაცემთა ერთიან ბაზაში, რაც საშუალებას მისცემს მთავრობას, იმსჯელოს შემდგომი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე. ვაკის რაიონის გამგებელის, ლაშა აბაშიძის განცხადებით, ზიანის შეფასების შემდეგ, დადგინდება კონკრეტული მეთოდოლოგია, თუ როგორ უნდა მოხდეს ზიანის კომპენსირება. ქონების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელის, კარლო ლაფერაძის განცხადებით კი, უძრავი ქონების ინვენტარიზაცია მოსახლეობის ჩართულობით ხორციელდება. ამასთან, პროცესს ესწრებიან ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენლები, რომლებიც განსაზღვრავენ ოჯახის წევრების რაოდენობას და მათ სოციალურ მდგომარეობას. გარდა ამისა, პროცესში ჩართულები არიან ექპერტიზის ბიუროს წარმომადგენლებიც.

„პირველი“

ბიუჯეტის ხარჯები დაახლოებით 140 მილიონი ლარით მცირდება

მინისტრთა კაბინეტმა ბიუჯეტის კორექტირებული ვარიანტი განიხილა. როგორც პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, ხელისუფლება ახალ რეალობას უნდა მოერგოს.

ბიუჯეტი, მიმდინარე ხარჯების მიმართულებით, დაახლოებით 140 მილიონი ლარით მცირდება, თუმცა, ეს კაპიტალურ და სოციალურ ხარჯებს არ შეეხება. თანხის დიდი ნაწილი მიმართული იქნება კაპიტალური პროექტების განხორციელებისთვის.

„ვფიქრობ, ეს ძალიან ნორმალურია და მანამდეც უნდა გაგვეკეთებინა, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. რეგიონში თითქმის ყველა სახელმწიფომ გააკეთა ბიუჯეტის კორექტირება და ეს, რა თქმა უნდა, არის გამომდინარე იქიდან, რომ მთელს რეგიონში, უკრაინაში, რუსეთში ძალიან სერიოზული კრიზისია, რთული ვითარებაა“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ასევე, დამატებითი სახსრები გამოეყოფა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, თბილისსა და მის შემოგარენში სტიქიური უბედურებით მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად.

მთავრობის მეთაურმა, სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის პროცესში აქტიურობისთვის, სამინისტროებსა და თბილისის მერიას მადლობა გადაუხადა.

„პირველი“

მაისში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დანაშაულმა თითქმის 8%-ით იკლო

შინაგან საქმეთა სამინისტრო მაისის თვის და იანვარ-მაისის დანაშაულის სტატისტიკას აქვეყნებს. აღნიშნული სტატისტიკა ასახავს როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს, ასევე საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყების მონაცემებს, რომელიც მოიცავს საქართველოში არსებულ იმ სამინისტროების სტრუქტურაში შემავალ დანაყოფებს, რომლებიც თავიანთი ქვემდებარეობის მიხედვით აწარმოებენ გამოძიებას სისხლის სამართლის საქმეებზე, კერძოდ: შინაგან საქმეთა სამინისტრო, მთავარი პროკურატურა, იუსტიციის სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო.

2015 წლის მაისში საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყების მიერ რეგისტრირებულია 3179 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 1360 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 42.78%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა -7.48%.

შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით 2015 წლის მაისის თვეში შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულია 2094 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 1192 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 56.92%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა -6.93%.

2015 წლის იანვარ-მაისის თვეებში საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყების მიერ რეგისტრირებულია 14711 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 7914 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 53.8%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა -11.78%.

2015 წლის იანვარ-მაისის თვეებში შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულია 10244 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 6680 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 65.21%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა -14.01%.

„ვერსიანიუსი“

სასტუმრო „ჰაიატი“ – ნაღმი გმირთა მოედანზე?!

მაია მიშელაძე
593-51-90-12

მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, რესტორან „არაგვის“ ტერიტორიაზე, 2007 წელს, სასტუმრო „ჰაიატი“ უნდა აშენებულიყო. იმ პერიოდში, რუსეთში მოღვაწე ქართველმა ბიზნესმენმა, რომან ფიფიამ, სასტუმროს მშენებლობის მიზეზით, ლაგუნა ვერეს მოპირდაპირე მხარეს განთავსებული შენობა-ნაგებობები აიღო და კლდის ფერდობზე სასტუმროს მშენებლობა დაიწყო. ერთ წელიწადში, „ჰაიატის“ მშენებლობა შეჩერდა, ხოლო გათხრილი საძირკველი, რომელიც მდინარე ვერეს კალაპოტს ესაზღვრება, გრუნტის წყლით აივსო და ტბად იქცა. 13-14 ივნისს, თბილისში, სწორედ ამ ტერიტორიაზე დატრიალებული სტიქიური უბედურების შემდეგ დავინტერესდით, კონკრეტულად რა მიზეზით შეჩერდა მშენებლობა, ან იციან თუ არა თბილისის მერიის შესაბამის სამსახურებში, რომ საბურთალოს დასაწყისში, გმირთა მოედნის შუაგულში, ლაგუნა ვერეს პირდაპირ, კლდის ფერდობზე მართლაც დიდი „ბომბია“ დამონტაჟებული?!

გმირთა მოედნის „ბომბი“?

Park Hyatt-ის ბრენდის, 28-სართულიანი სასტუმროს მშენებლობა, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე (რესტორან „არაგვის“ ადგილას), 2007 წელს დაიწყო. Park Hyatt, ლუქსკლასის სასტუმრო და აპარტამენტების კომპლექსი უნდა ყოფილიყო, რომლის მშენებლობა 2008 წლის აგვისტოს ომისა და მოგვიანებით, ეკონომიკური კრიზისის გამო შეჩერდა. თუმცა მშენებლობის შეჩერების რეალურ მიზეზზე, ლაგუნა ვერეს მიმდებარე კორპუსის მცხოვრები „თბილისის ფორუმზე“ წერს:

„იმ პერიოდში მშენებელმა არ იფიქრა, არ იმსჯელა, არც სპეციალისტებს დაეკითხა და რესტორან „არაგვის“ ტერიტორიაზე, გრანდიოზული კომპლექსის ასაშენებლად, იქ არსებული ნაგებობები დაანგრია, ხოლო მიწა გაყიდა. საძირკვლისთვის მიწის ამოთხრა რომ დაიწყეს, აღმოაჩინეს, რომ ეს ადგილი მდინარე ვერეს კალაპოტს ესაზღვრებოდა, წყალუხვი იყო და ამოთხრილი ღრმულები კატასტროფული სისწრაფით ივსებოდა გრუნტის წყლებით. მშენებლობა მიატოვეს, მაგრამ თბილისს ტბა დაუტოვეს, რომელიც, დროთა განმავლობაში, კოღოებით სავსე ჭაობად გადაიქცა“.

„ფორუმელების“ დიალოგიდან გავარკვიეთ, რომ თავდაპირველად, მშენებლებმა ამ ტერიტორიაზე სპეციალური სატუმბი დანადგარები დაამონტაჟეს, მაგრამ წყალი ვერ დააშრეს და მშენებლობა შეაჩერეს. ფორუმელების ინფორმაციით, 2008 წელს, როდესაც მშენებლობა დაიწყო, მხოლოდ ტერიტორიის მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარდა. პროექტის მასშტაბების გამო, კლდის ფერდობიც მოჭრეს, თუმცა ამის შემდეგ პროცესი შეჩერდა. მიტოვებული მშენებლობის ადგილზე, რამდენიმე პატარა ტბა გაჩნდა და სამწუხაროდ, წვიმიან ამინდებში ეს ტერიტორია მთლიანად იტბორება.

PARK HYATT TBILISI — სასტუმროს კომპლექსი და ბიზნესცენტრი, 2009 წელს უნდა დასრულებულიყო. პროექტის მიხედვით, 28-სართულიანი შენობის კომპლექსი 183 ოთახზე (აპარტამენტების ჩათვლით) იყო გათვლილი. გეგმით, ეს კომპლექსი ხუთ ნაგებობას მოიცავდა, რომლებშიც ოფისები, საკონფერენციო ცენტრი, სპა და ფიტნესცენტრები, ასევე რესტორნები განთავსდებოდა. გავრცელებული ინფორმაციით, პროექტის ღირებულება 200 მილიონი აშშ დოლარი იყო, ხოლო PARK HYATT TBILISI, სასტუმროების ქსელის მმართველი კომპანია „ჰაიატი ინტერნეიშენალის“ პირველი სასტუმრო იქნებოდა თბილისში. ამ პროექტს რუსეთში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენი რომან ფიფია ახორციელებდა, რომელიც დღემდე შეჩერებული მშენებლობის მესაკუთრეა. მშენებლობას კი ჩინური კომპანია MCC20 აწარმოებდა.

თავის დროზე, სასტუმრო „ჰაიატის“ მშენებლობის ნებართვა თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურმა გასცა. საინტერესოა, რა ტიპის ინფორმაცია ინახება ამ სამსახურის არქივში, რომელიც „ვერსიის“ თხოვნით, თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოადგილემ, **ლევან ძაგნიძემ** მოიძია:

„არქივის მასალების მიხედვით, სასტუმრო „ჰაიატის“ მშენებლობის ნებართვა 2007 წელს გასცეს. მშენებლობა 2008 წელს უნდა დაწყებულიყო და 2011 წელს დასრულებულიყო. თუმცა როგორც იცით, 2008 წლის შემდეგ, მშენებლობა შეჩერდა. ჩვენთვის უცნობია, რა მიზეზით შეჩერდა მშენებლობა, რადგან არქიტექტურის სამსახურში ამ ტიპის ინფორმაციას არ ვფლობთ. უმჯობესია, მიზეზებზე უშუალოდ კომპანიის წარმომადგენლებს გაესაუბროთ. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ 2011 წელს, სასტუმროს მშენებელმა კომპანიამ არქიტექტურის სამსახურს მიმართა და მშენებლობის ვადა 2014 წლამდე გააგრძელა. ესაა ოფიციალური ინფორმაცია, რაც ამ კონკრეტულ მშენებლობაზე ჩვენი სამსახურის არქივში მოვიძიეთ. თუმცა 2014 წლის შემდეგ, თბილისის არქიტექტურის სამსახურისთვის, მშენებლობის ვადის გაგრძელების თხოვნით, აღარ მოუმართავთ“.

რამდენად საშიშია გმირთა მოედანთან ახლოს, ლაგუნა ვერეს პირდაპირ, კლდის ფერდობზე მიტოვებული მშენებლობა, განსაკუთრებით ახლა, სწორედ ამ ზონაში დატრიალებული სტიქიური უბედურების შემდეგ? მენაშენეთა ასოციაციის თავმჯდომარემ, **ირაკლი როსტომაშვილმა** „ვერსიას“ განუცხადა, რომ ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, აუცილებელია გეოლოგების დასკვნა. სხვათა შორის, სწორედ გეოლოგების დასკვნის საფუძველზე უნდა გადაწყდეს, რა ტიპის ფუნდამენტი ან მშენებლობის წარმოების რომელი მეთოდი იქნება საჭირო ამ კონკრეტულ შემთხვევაში: **„ფაქტი, რომ საძირკველი წყლით აივსო, არ ნიშნავს, მშენებლობა ამის გამო შეჩერდა. სამწუხაროდ, დეტალურ ინფორმაციას არ ვფლობ, თუმცა დარწმუნებული ვარ, მშენებლობის შეჩერების მიზეზი ეს არ იქნებოდა. სხვადასხვა მეთოდი არსებობს, რომლითაც წყლის ამოტუმბვაა შესაძლებელი. სხვათა შორის, სანკტ-პეტერბურგი (ყოფილი ლენინგრადი) ჭაობზეა გაშენებული, ჩვენც გვიშენებია ობიექტები ჭაობზე, მაგრამ ამ შემთხვევაში, განსხვავებული საძირკველი კეთდება. ავლაბარში, ნებისმიერი ობიექტი რომ გათხაროთ, წყალს აუცილებლად ნახავთ, მაგრამ იქ მშენებლობის სულ სხვა მეთოდი, სხვა ტექნოლოგიები და მასალებია გამოყენებული. ამდენად, წყალი პრობლემა არ არის, მით უმეტეს, სასტუმრო „ჰაიატი“ კლდოვან საძირკველზე უნდა გაშენებულიყო“.**

რატომ შეჩერდა „ჰაიატის“ მშენებლობა?

რა მიზეზით შეჩერდა სასტუმრო „ჰაიატის“ მშენებლობა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე? რას აპირებს შეჩერებული მშენებლობის მფლობელი, ბიზნესმენი რომან ფიფია, რომელიც ახლა საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ მესაკუთრეა? „ვერსიის“ კითხვებს რომან ფიფიას საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი, **ირმა ცქიტიშვილი** პასუხობს.

— რესტორან „არაგვის“ ტერიტორიაზე, იქ, სადაც წლების წინ, სასტუმრო „ჰაიატის“ მშენებლობა იგეგმებოდა, რა ტიპის ობიექტის მშენებლობაა გადაწყვეტილი?

— დღეისათვის რამდენიმე ვარიანტი განიხილება, რომლებიც დამუშავების პროცესშია. მომავალში, რომან ფიფია მასშტაბური და მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის შექმნას გეგმავს. თუმცა რა იქნება ეს — სავაჭრო, საცხოვრებელი, თუ ბიზნესცენტრი, გადაწყვეტილებას ბაზრის მოთხოვნილების გათვალისწინებით მივიღებთ. ასევე მიდის მუშაობა ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებით, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია პროექტის წარმატებისთვის.

— იხდის თუ არა ბიზნესმენი რომან ფიფია და მისი სამშენებლო კომპანია ჯარიმას იმის გამო, რომ ამ ტერიტორიაზე სასტუმროს მშენებლობა შეჩერებულია?

— რამდენადაც პროექტის ფარგლებში, მთავრობის წინაშე არ არსებობდა ვალდებულება განსაზღვრული ვადების შესახებ, ჯარიმის თემა ბიზნესმენ რომან ფიფიას კომპანიას არ შეხებია. თუმცა ჯარიმაზე უფრო დიდი თანხის გადახდა მოუწია ბიზნესმენს ამ პროექტის საწყის ეტაპზე განხორციელებისთვის, რომელიც 2008 წლის ცნობილი მოვლენების განვითარების შედეგად, ვეღარ გაგრძელდა. ამ პერიოდში, რომან ფიფიამ, 30 მილიონზე მეტი იზარალა.

— ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, თავის დროზე, 2008 წელს, „ჰაიატის“ მშენებლობა იმიტომ შეჩერდა, რომ საძირკველი გრუნტის წყლით ივსებოდა და მისი ამოტუმბვა ვერ მოხერხდა. არის თუ არა ეს პროცესი საშიში განსაკუთრებით ახლა, ანუ მას შემდეგ, რაც მდინარე ვერე ადიდდა?

— საერთოდ, წარმოუდგენელია მშენებლობის დაგეგმვა, ან პროექტის გათვლა კატაკლიზმების სრული გათვალისწინებით. რაც შეეხება 2008 წლის მშენებლობას, რომან ფიფიამ, მსოფლიოს საუკეთესო არქიტექტორების დახმარებით, უნიკალური პროექტი წარმოადგინა, რომელიც არსებულ პირობებთან სრულიად ადაპტირებული გახლდათ. მეტიც, ეს პროექტი საძირკვლის პირდაპირ წყალში აშენებას გულისხმობდა. რომ არა 2008 წლის ცნობილი მოვლენები, დღეს უნიკალური და მნიშვნელოვანი ბიზნესლოკაცია ექნებოდა ჩვენს ქალაქს.

დასასრული მე-4 გვერდზე

ვერსიანიუსი

საქართველოში ლტოლვილის სტატუსის მაძიებელთათვის საკანონმდებლო რეგულაციები იცვლება

საკანონმდებლო ინიციატივის ავტორი დევნილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუბარია. მისი განცხადებით, ევროკავშირთან ასოცირების ფარგლებში გარკვეული შენიშვნები იყო, რის გამოც კანონში ცვლილებები შეაქვთ: **„ევროკავშირთან ასოცირების ფარგლებში გარკვეული შენიშვნები იყო, რომელიც გულისხმობს ლტოლვილი და თავშესაფრის მაძიებელი პირებისთვის სტატუსის მიცემის წესში შესატან ცვლილებებს. სწორედ ეს ცვლილებები შემოგვაქვს ამ მიმართულებით, რიგ შემთხვევაში ვამკაცრებთ, ზოგ შემთხვევაში ვამარტივებთ. მაგალითად, თუ დღეს ადამიანი საქართველოში ლტოლვილის სტატუსს ითხოვს, მის მიმართ ამ სტატუსის მინიჭება იწყება იმის მიუხედავად, თუ რომელი ქვეყნიდან შემოდის ის. ამ ცვლილებით, ადამიანისთვის ლტოლვილის სტატუსზე მსჯელობა მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიწყება, თუ მას სდევნიან და საფრთხე ემუქრება. თუ მან საქართველოში ჩამოსვლამდე რამდენიმე ქვეყანა გამოიარა, მის მიმართ სტატუსის მინიჭება არ დაიწყება, რადგან უსაფრთხო ქვეყნები გამოიარა და უნდა დაბრუნდეს იმ ქვეყანაში, საიდანაც პირველად შემოვიდა“.**

სოზარ სუბარის განმარტებით, ცვლილება ასევე ითვალისწინებს ლტოლვილის სტატუსის ვადების განხილვის შემცირებას: **„მეორე ნაწილია ის, რომ, თუ განხილვის ვადები გაწელილია, 2 თვემდე მცირდება. მესამე ნაწილით, გასაჩივრების ვადა 10-დან 14 დღემდე იზრდება. ეს არის ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოება. მეოთხე ნაწილით, თუ ლტოლვილის სტატუსზე სამ ეტაპიანი განხილვა მიმდინარეობს — პირველი ინსტანციის სასამართლო, სააპელაციო, საკასაციო, ესეც ორ ეტაპამდე მცირდება“.**

„პირველი“

სასტუმრო „ჰაიატი“ – ნაღმი გმირთა მოედანზე?!

მე-3 გვერდიდან

საღ განთავსდება სასტუმრო „ჰაიატი“?

საპარტნიორო ფონდის ინფორმაციით, რუსთაველის გამზირზე, იუსტიციის სამინისტროს ყოფილ შენობაში, მსოფლიო ბრენდის 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო „ჰაიატი“ განთავსდება. პროექტის თანახმად, შენობის სრული რეაბილიტაცია იგეგმება, თუმცა ისტორიული ფასადი შენარჩუნდება. ოფიციალური ინფორმაციით, 170-ნომრიან სასტუმროში, საკონფერენციო დარბაზები, ოთხი რესტორანი, სპა და ფიტნესცენტრები განთავსდება.

წლების წინ, „ჰაიატის“ ბრენდის შემოყვანის წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, სასტუმროების მსოფლიო ბრენდი, საქართველოში ისევ ბრუნდება. პროექტის თავდაპირველ ღირებულებად კი 60 მილიონი აშშ დოლარი სახელდება. მსოფლიოს მასშტაბით, „ჰაიატის“ ქსელი 150-ზე მეტ სასტუმროს მოიცავს. მათ შორის, 29 სასტუმრო ევროპის, აფრიკის, ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთ აზიის ისეთ ქალაქებშია განთავსებული, როგორიცაა ბერლინი, დელი, დუბაი, ლონდონი და პარიზი.

„ჰაიატი“ ბრენდია, რომელიც მომხმარებლების კომფორტზეა ორიენტირებული. ამ ბრენდის სასტუმროებში, მომხმარებელს განსაკუთრებულ პირობებს სთავაზობენ, რაც სტუმრისთვის მგზავრობის, დასვენებისა და უბრალოდ საქმიანი შეხვედრის დროს, ძალიან მნიშვნელოვანია. ყველა წვრილმანის გათვალისწინებით, „ჰაიატი“ სტუმრებს მომსახურების მრავალფეროვან პაკეტს, დაუვიწყარ კულინარიულ გამოცდილებას, კომუნიკაციის მაღალ ტექნოლოგიურ საშუალებებსა და მომსახურების მაღალ დონეს სთავაზობს.

რუსთაველის გამზირზე, იუსტიციის სამინისტროს ყოფილ შენობაში, „ჰაიატის“ ბრენდის სასტუმროს შპს „რუსთაველი ფროფერთის“ აშენებს, რომელიც სასტუმროს განვითარებისთვის შეიქმნა. ეს კომპანია „ლოიალ კაპიტალ ჯგუფის“ წევრია, ხოლო „ლოიალ კაპიტალ ჯგუფი“ კი ქართველმა ბიზნესმენმა, რომან ფიფიამ დააფუძნა.

ვინ არის რომან ფიფია

ქართველი ბიზნესმენი რომან ფიფია წლების მანძილზე, რუსეთში მოღვაწეობდა. ამიტომ მის შესახებ ინფორმაცია, ძირითადად, რუსული საიტების საშუალებით მოვიძიეთ. რომან ფიფია 1966 წელს, გაგრაში დაიბადა. 1983 წელს, რუსეთში გაემგზავრა და სარატოვში დასახლდა. მოსკოვის სამომხმარებლო კოოპერაციის ინსტიტუტისა და მოსკოვის მენეჯმენტის ინსტიტუტის სარატოვის ფილიალის დამთავრების შემდეგ, ვაჭრობასა და კვების მრეწველობაში მუშაობდა. 80-იანი წლების მიწურულს, „პერესტროიკის“ პერიოდში, კოოპერატივი დააფუძნა, რომელიც ძეხვეულს ამზადებდა.

რუსული მედიის ცნობით, სარატოვში ფიფიას აღზევება გუბერნატორ აიაცკოვის სახელს უკავშირდება, რომელთანაც ქართველ ბიზნესმენს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა. თუმცა, რომან ფიფიას სარატოვში პრობლემები მას შემდეგ შეექმნა, რაც გუბერნატორი აიაცკოვი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ადგილობრივმა მედიამ, სარატოვში ფიფიას საქმიანობის გამოკვლევას, რამდენიმე ჟურნალისტური გამოძიებაც მიუძღვნა. ამ მასალების მიხედვით, ფიფიას ბრალად ედებოდა თაღლითობა, გადასახადების დამალვა, სახელმწიფო კრედიტის უკანონოდ მიღება. ჟურნალისტური მოკვლევა სისხლის სამართლის საქმეს საფუძვლად დაედო, რის შედეგადაც რომან ფიფიაზე რუსეთში ძებნა გამოცხადდა. ამის შემდეგ, რომან ფიფია საცხოვრებლად საფრანგეთში, ქალაქ ნიცაში გადავიდა.

რუსული მედიის ინფორმაციით, რომან ფიფია სარატოვში რამდენიმე ტიპის ბიზენსს ფლობდა. სათავეში ედგა ჰოლდინგ „აგრორესს“ (რომელიც 15-მდე მსხვილ საწარმოს აერთიანებდა), ფლობდა კომპანია „ლიკსარს“ (ლიქიორებისა და სპირტიანი სასმელის ქარხანა, საფირმო მაღაზიების საკუთარი ქსელით), ბალაკოვის მდინარის პორტსა და გემთმშენებელ ქარხანას, სარატოვის მდინარის ტრანსპორტის საწარმოებს, ავიაკომპანია „სარავიას“ აქციების პაკეტს. გარდა ამისა, რომან ფიფია, სარატოვის საფეხბურთო კლუბ „სოკოლის“ პრეზიდენტი იყო.

2007 წელს, რომან ფიფიამ თბილისში, რესტორან „არაგვის“ ტერიტორიაზე, თანამედროვე, ხუთვარსკვლავიანი სასტუმროსა და ბიზნესცენტრ „ჰაიატი თბილისის“ მშენებლობა წამოიწყო, რომელიც 150 მილიონ დოლარად შეფასდა. თუმცა სააკაშვილის ხელისუფლებასთან, რომან ფიფიას კავშირების საილუსტრაციოდ, რუსული მედია რამდენიმე ფაქტს ასახელებს. ერთ-ერთ სტატიაში, ფიფიას ნათესავის, ნუგზარ ფიფიას ციტატა მოჰყავთ, როდესაც ეს უკანასკნელი რუსეთის ფედერაციაში, საქართველოს საელჩოში მრჩევლად მუშაობდა: **„2003 წლის ნოემბერში, საპრეზიდენტო არჩევნებამდე, საქართველოში ხორბალი გაძვირდა, რის გამოც მოსალოდნელი იყო პურის კრიზისი. პრემიერ-მინისტრმა, ზურაბ ჟვანიამ ბიზნესმენები შეკრიბა და დახმარება სთხოვა. ჩვენც, მე და რომანმა, საქართველოში, ხორბლის გარკვეული რაოდენობა საჩუქრად ჩავიტანეთ, ქვეყანამ კი პურის კრიზისი დაძლია“.** რუსული მედიის ინფორმაციით, ფიფია სააკაშვილისგან აფხაზეთის ვირტუალური პრეზიდენტის პოსტს ელოდა. შესაბამისად, შემთხვევითი არაა, რომ ფიფიას ძმა, როლანდ ფიფია, სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში, საქართველოს პარლამენტის წევრი იყო.

ბიზნესმენი რომან ფიფია, მილიონერი ქართველების სიაშიც გვხვდება. არაოფიციალური ინფორმაციით, მისი ქონება 500 მილიონ აშშ დოლარადაა შეფასებული. ამჟამად, რომან ფიფია საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ მფლობელია, სადაც რამდენიმე მილიონიანი ინვესტიცია განახორციელა.

სტიქიური ნაღმი ხარაგაულის რაიონში

კახა ამილახვარი

13 ივნისის სტიქიამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ბუნება მბრძანებელია და მასში უხეში ჩარევა ცეცხლთან თამაშია. ვერეს ადიდების შედეგად დატრიალებულმა ტრაგედიამ საქართველოში განხორციელებული თუ დაწყებული ისეთი პროექტები კიდევ ერთხელ გაგვახსენა, რომლებიც ხვალ-ზეგ მიწიერ ჯოჯოხეთად შეიძლება გვექცეს. ხარაგაულის რაიონის სოფელ ზვარეში, რკინიგზის მშენებლობა და მთაში გაჭრილი გვირაბი, კიდევ ერთი სტიქიური ნაღმია, რომელიც როდის „აფეთქდება“, არავინ იცის. მდინარე ზვარულაზე შექმნილი ვითარებისა და ზვარელების პროტესტის შესახებ „ვერსია“ უკვე წერდა, თუმცა ამ საკითხისადმი მიძღვნილი სტატიაც ისევე დარჩა „ხმად მღაღადებლისად“, როგორც ბევრი დარჩენილა აქამდე. იქნებ, 13 ივნისის სტიქიის შემდეგ საკუთარ შეცდომებზე მაინც ვისწავლოთ, რომ „წაყრუების პოლიტიკა“ კარგს არაფერს მოგვიტანს და ახლა მაინც დავფიქრდეთ იმაზე, რა შეიძლება გამოიწვიოს პროექტმა, რომლის განხორციელებაც, სოფელ ზვარეში, წლების წინ დაიწყო. ამ მიზნით, „ვერსია“ გთავაზობთ სტატიას, რომელშიც იმასაც ამოიკითხავთ, რომ სარკინიგზო ხაზის გაყვანა, მოსახლეობასაც უქმნის საფრთხეს და ზვარეს მინერალური წყლის უნიკალურ საბადოსაც. ზვარელები კი დღეს, უფროდაუფრო აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ პროექტის განხორციელების ალტერნატიული გზები თუ არ მოიძებნა, სოფელში ისეთი უბედურება დატრიალდება, ვერეს ხეობა, მონაგონი იქნება. გაერო-ს მონაცემებით, დღეს მსოფლიოში თითქმის 2 მილიარდი ადამიანი დგას სასმელი წყლის პრობლემის წინაშე. პროგნოზი არასახარბიელოა — წლების შემდეგ მათი რიცხვი კატასტროფულად გაიზრდება. ამ ფონზე, სხვადასხვა ქვეყანაში ხელისუფლებების ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი ბუნებრივი წყლის მარაგის შენარჩუნება, მინერალური წყლის საბადოების მოვლა-პატრონობა და არსებული მარაგის მაქსიმალურად სწორად გამოყენებაა. სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლება ამ მხრივ გამონაკლისი აღმოჩნდა — სხვა რა შეიძლება იფიქრო, როცა ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან, უნიკალურ, სამკურნალო თვისებებით დაჯილდოებულ ზვარეს მინერალური წყლის საბადოს, რკინიგზის ხაზის გაყვანის გამო, განადგურება ემუქრება, პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას კი, ისეთი პირი უჩანს, შესაბამისი უწყებები არ აპირებენ. ვის ინტერესებს ეწირება მინერალური წყლის საბადო, ზრუნავს თუ არა საქართველოში ვინმე გარემოს დაცვაზე და არის თუ არა ამ ქვეყანაში კერძო საკუთრება დაცული? — ეს კითხვები, ამ სტატიის წაკითხვის შემდეგ, აუცილებლად გაგიჩნდებათ. „ვერსია“ ეცდება, მათზე პასუხი მოგაწოდოთ, მანამდე კი იმ პრობლემის შესახებ გიამბობთ, რომლის წინაშეც სოფელ ზვარეს მაცხოვრებლები, შპს „ზვარეს“ წარმომადგენლები და ზოგადად, ქვეყანა დადგა.

უნიკალური, სამკურნალო მინერალური წყალი „ზვარე“

ზვარეს მინერალური წყლის საბადო ხარაგაულის რაიონში, მდინარე ზვარულას ხეობაში, სოფელ ზვარეში, რკინიგზის სადგურ „მოლითიდან“ 4 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. მისი გეოლოგიური შესწავლა გასული საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო, იმავე საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისამდე კი, ზვარეს მინერალური წყლის ბაზაზე ფუნქციონირებდა „საქმინხილწყლის“ ქარხანა. „ზვარეს“ სამრეწველო ჩამოსხმა 1948 წელს დაიწყო, მე-20 საუკუნის 80-იან წლებში კი ჩამოსხმის პიკს მიაღწია (11 600 000 — 0,5 ლიტრის ტევადობის შუშის ბოთლი).

ჯერ კიდევ 1960-70-იანი წლებიდან, ჩამოსხმული პროდუქციის 90% საქართველოს ფარგლებსგარეთ გადიოდა, ძირითადად, ციმბირში, უკიდურეს ჩრდილოეთსა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში, ცენტრალურ რუსეთში, უკრაინასა და მოლდოვაში.

ზვარეს მინერალურ წყალს უნიკალური სამკურნალო თვისებები აქვს. მისი მიღებით შეიძლება განიკურნოს: ლორწოვანი გარსის ანთება, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის კატარი, ფუნქციონალური ქოლესტოპათია, ჰეპატიტი და ჰეპატოქოლესცისტი, კენჭები ნაღვლის ბუშტში, ნაღვლის ბუშტის ანთება, თირკმელებისა და შარდის ბუშტის ანთება, ზედა სასუნთქი გზების კატარი, პათოლოგიური სიმსუქნე, მსუბუქი ფორმის დიაბეტი, ღვიძლისა და სანაღვლე გზების ქრონიკული დაავადებები, ქრონიკული კოლიტი, ნივთიერებათა ცვლის ზოგიერთი მოშლილობა, ნიკრისის ქარი, ოქსალერია, ფოსფაცერია... ამ ფონზე, გასაკვირი არაა, რომ 2002 წელს, ჟენევაში, „ზვარეს“, როგორც საუკეთესო წყალს, მიღებული აქვს ოქროს თასი, 2008 წელს კი ნიუ იორკში პლატინის მედალი მიანიჭეს.

საქართველოს რკინიგზა საბადოს საფრთხეს უქმნის

სამკურნალო წყალი „ზვარე“ მოიპოვება ზვარეს მინერალური წყლის საბადოს რამდენიმე, მათ შორის, 29-ე და 30-ე ჭაბურღილში. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან 2008 წლის 27.10 № 05-16/3509 შეთანხმების საფუძველზე, 25 წლის ვადით, შპს „ზვარეს“ ლიცენზია მიეცა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის. შპს „ზვარეს“ ერთ-ერთი დამფუძნებლის, **ჯამბულ ლურსმანაშვილის** განმარტებით, ლიცენზიის გაცემის შემდეგ, ჩამომსხმელი ქარხანა გარემონტდა, ჭაბურღილები გასუფთავდა, 2009 წელს, სახელმწიფო კომისიის მიერ დამტკიცდა მარაგები 30-ე ჭაბურღილზე, მოწესრიგდა წყლის მიმწოდებელი ინფრასტრუქტურა, ჩამომსხმელ ქარხანაში დაიდგა ჩამოსასხმელი დაზგა-დანადგარები, შემოიღობა საბადოს ტერიტორია, 2009 წლის სექტემბრიდან კი, დაიწყო მინერალური წყალ „ზვარეს“ ჩამოსხმა. წყლის რეალიზაცია საქართველოს მასშტაბით ხდებოდა, თუმცა მოთხოვნა მეზობელი ქვეყნებიდანაც იყო, მაგალითად აზერბაიჯანიდან. პროდუქციის ექსპორტი ალბათ აუცილებლად მოხდებოდა, მაგრამ 2010 წლის ბოლოს საწარმომ ფუნქციონირება დროებით შეწყვიტა, ჩამომსხმელი ხაზის განახლების მიზნით. **„მხოლოდ 30-ე ჭაბურღილის მარაგი დღე-ღამეში 22 ტონამდეა ანუ დაახლოებით 10 ათასი ლიტრი ბოთლი. ამ რაოდენობის წყლის ჩამოსხმას მაშინ არსებული ჩამოსასხმელი ხაზი არ იძლეოდა, ამიტომ გადავწყვიტეთ, ხაზი გაგვეახლებინა და მთელი დებეტი აგვეთვისებინა. თუმცა, 2011 წელს, საქართველოს რკინიგზამ ახალი ხაზის გაყვანა დაიწყო, რომელიც „ზვარეს“ მინერალური წყლის საბადოს ისეთ წერტილებში გადიოდა, საბადოს დაბინძურების, მეტიც, განადგურების საფრთხის წინაშე დავდექით. შესაბამისად, ქარხნის განახლება შეჩერდა — ინვესტორებმა გადაწყვიტეს, საკითხის საბოლოო განხილვამდე, ქარხანაში ინვესტიცია აღარ ჩაედოთ“,** — აცხადებს „ვერსიასთან“ საუბრისას **ჯამბულ ლურსმანაშვილი.**

„კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვის ზონების შესახებ“ საქართველოს კანონით, **„მკაცრი რეჟიმის ზონაში, რომელიც მოიცავს კურორტებისა და საკურორტო ადგილის იმ ტერიტორიას, სადაც განლაგებულია მინერალური წყლის ბუნებრივი და ხელოვნური გამოსასვლელები, სამკურნალო ტალახისა და სხვა ბუნებრივი სამკურნალო რესურსების საბადოები, სამკურნალო კარსტული მღვიმეები, პლაჟები... აკრძალულია სამუშაოები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული არ არის ბუნებრივი სამკურნალო რესურსების გამოყენებასთან, საწარმოო და სასოფლო სამეურნეო ობიექტების მშენებლობა, სამთო და მიწის სამუშაოები, ფიზიკური პირების მუდმივად ან დროებით ცხოვრება“.** ისეთი სამუშაოები, როგორიცაა, მაგალითად რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა, მინერალური წყლის საბადოდან მინიმუმ 350 მეტრის დაშორებით შეიძლება განხორციელდეს, რათა არ დაზიანდეს ან განადგურდეს საბადო. ამ სანიტარული ნორმების უგულებელყოფა, სისხლის სამართლის დანაშაულია. მიუხედავად ამისა, რკინიგზის ხაზის მშენებლობა სანიტარული ნორმების გათვალისწინების გარეშე დაიწყო. **„ლიანდაგი ისე გაიყვანეს, არანაირი სანიტარული ნორმები არ დაუცავთ. მეტიც, ზვარეს მინერალური წყლის 29-ე ჭაბურღილს მიწა დააყარეს და გაანადგურეს. დღეს განადგურება 30-ე ჭაბურღილს ემუქრება, სადაც მისასვლელი საცალფეხო ბილიკიც კი აღარ არსებობს. განადგურებულია დაახლოებით 300 მეტრამდე მინერალური წყლის მიმწოდებელი სისტემაც“,** — აცხადებს ჯამბულ ლურსმანაშვილი და იმ ეკონომიკურ თუ ეკოლოგიურ ზარალზე საუბრობს, რომელიც საქარველოს რკინიგზამ კონკრეტულად შპს „ზვარეს“ და ზოგადად, ქვეყანას მიაყენა. ზარალი საკმაოდ დიდია. სხვა თუ არაფერი, ქარხნის ასამუშავებლად, მხოლოდ საწყის ეტაპზე, 1 მილიონ 200 ათას ლარამდე ინვესტიცია ჩაიდო. რაც შეეხება ეკოლოგიურ ზარალს — არსებობს რისკი, რომ რკინიგზის გაყვანის შემდეგ, დაბინძურდეს ან საერთოდ განადგურდეს მინერალური წყლის უნიკალური საბადო.

აღნიშნული პრობლემის გამო, ზვარეს მოსახლეობამ, გარემოს დაცვის სამინისტროს არაერთხელ მიმართა. მოსახლეობას, საბადოს განადგურების საფრთხის გარდა, სხვა პრობლემებიც აწუხებს. სოფელში ხმა გავრცელდა, რომ რკინიგზის ლიანდაგი, სკოლის შენობასაც შეუქმნის პრობლემას. არადა, ზვარელები ამბობენ, რომ მთლიან დასახლებაში, სასწავლო დაწესებულებისთვის, სხვა შესაბამისი ადგილის მოძებნა გაჭირდება. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ისედაც გაჭირვებულ და „უბიუჯეტო“ სოფელში, სკოლის ახალი შენობისთვის თანხები არ მოიძებნება. პრობლემა იყო ისიც, რომ რკინიგზის მშენებლობისას, ჩინელები ჩამოასახლეს. ზოგი მათგანი, ოჯახითაც დამკვიდრდა აქ. მათ მუშა ხელად იყენებდნენ. ზვარელების მტკიცებით, ჩინელები სოფელს ეკოლოგიურ პრობლემებს უქმნიან: **„პამპერსებს, ნაგავს პირდაპირ მდინარე ზვარულაში ყრიან. რა ენაზე ველაპარაკოთ ამ ხალხს, არ ვიცით. სოფლის ფლორა-ფაუნა გაანადგურეს. რისთვის ჩამოასახლეს ისინი? დაესაქმებინათ ადგილობრივები. ლუკმა პურის ფულს მაინც ვიშოვიდით“,** — აცხადებენ ადგილობრივები, რომელთა მთავარი საფიქრალი, მაინც მინერალური წყლის საბადოა. ამბობენ, ეს საბადოა ჩვენი სიამაყე, **„მისი წყალობით თუ გავახსენდებოდით ვინმეს, თორემ, ისე ყურადღებას არავინ გვაქცევს, ბნედის ანაბარა ვართ მიტოვებულები, ქარხანა რომ მუშაობდა, დაახლოებით 30-50 ადგილობრივი იყო დასაქმებული, ცოტა ამოვისუნთქეთ, იმედი მოგვეცა, მაგრამ... ჩვენ თავს ვინ ჩივის, საბადოს ანადგურებენ“.** ზვარეს მოსახლეობა ხელმოწერებს აგროვებს. მოითხოვენ, შეიცვალოს პროექტი, რკინიგზის ხაზი სანიტარული ნორმების დაცვით გატარდეს, რაც ზვარეს საბადოს გადარჩენის საფუძველი გახდება.

პროექტის შეცვლის თაობაზე, უკვე არაერთხელ ითქვა. რკინიგზის მშენებლობა, გარკვეული პერიოდი შეჩერებული იყო. ამბობდნენ, მშენებლობის პროცესი, მას შემდეგ შეაჩერეს, რაც ზვარელებმა, გარემოს დაცვის სამინისტროში განგაშის ზარს შემოჰკრესო. 2012 წელს, ადგილობრივებს, ხელისუფლებაში ახალმოსული „ოცნების“ მინისტრი ხათუნა გოგოლაძეც ესტუმრა. რკინიგზის შეჩერებული მშენებლობა პირადად დაათვალიერა, საბადოც ნახა და ადგილობრივებს დაპირდა, რკინიგზის ხაზი საბადოს არ გაანადგურებსო.

რკინიგზის მშენებლობა უკვე განახლდა. არადა, შპს „ზვარეს“ ხელმძღვანელებს, ახალ ინვესტორთან აქვთ მოლაპარაკებები. პროცესი თითქმის დასრულებულია — ინვესტორს, მხოლოდ ის აინტერესებს, რამდენ მეტრში გაივლის რკინიგზის ხაზი საბადოსთან. ეს ლოგიკურიცაა — სულელი უნდა იყო, ფული ისეთ საბადოში ჩადო, რომელიც ხვალ-ზეგ შეიძლება, აღარც არსებობდეს. მით უმეტეს, ზვარეში ხმა გავარდა, რკინიგზის მშენებლობა ძველი პროექტით განახლდება და საბადოსთან მხოლოდ 15 მეტრის დაშორებით გაივლისო.

იმის გასარკვევად, კონკრეტულად რამდენ მეტრში გაივლის რკინიგზის ხაზი საბადოდან, შპს ზვარეს ხელმძღვანელობამ სააქციო საზოგადოება „საქართველოს რკინიგზის“ გენერალურ დირექტორს, მამუკა ბახტაძეს, 2014 წლის 4 აგვისტოს, ოფიციალური წერილით მიმართა. კონკრეტულ კითხვაზე, რკინიგზის დეპარტამენტიდან არაკონკრეტული პასუხი მიიღეს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ, დასკვნების გაკეთება კი, თქვენთვის მოგვინდვია: **„გაცნობებთ, რომ სს „საქართველოს რკინიგზა“, აღნიშნული ობიექტის მშენებლობას ახორციელებს მშენებლობის ნებართვაში გაწერილი პირობების შესაბამისად. მშენებლობის ნებართვა №176, გაცემულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2011 წლის 21 ივნისს ბრძანება №75/01-06, რომელსაც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, წინ უსწრებდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება და მისი საჯარო განხილვა, რის საფუძველზეც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ მომზადდა ეკოლოგიური დასკვნა, რომელიც მშენებლობის ნებართვის მოპოვების ერთ-ერთი წინაპირობაა“.**

ამის შემდეგ, შპს „ზვარეს“ დირექტორმა კვლავ მიმართა რკინიგზის დირექტორს. აუხსნა, რომ საბადოს №29 ჭაბურღილი რკინიგზის მიერ წარმოებული სამუშაოების გამო დაფარულია მიწის დიდი მასით. **„ვეჭვობთ, ის გადავარჩინოთ განადგურებას. №30 ჭაბურღილს განადგურება ემუქრება მთელ საბადოსთან ერთად, თუ რკინიგზის ლიანდაგი ამ ჭაბურღილიდან გაივლის მინიმუმ 350 მეტრზე ახლოს. თითქმის დამთავრებულია მოლაპარაკება რეალურ ინვესტორთან. ველოდებით მხოლოდ ამ საკითხის გადაჭრას. კატეგორიულად მოვითხოვთ, მოგვაწოდოთ ზუსტი ინფორმაცია და პროექტი“.**

როგორც ჩანს, რკინიგზაში, კატეგორიული ტონი აღარ მოეწონათ და ოფიციალური პასუხი აღარ მოუწერიათ, თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ რკინიგზისა და შპს „ზვარეს“ წარმომადგენლებს შორის, რამდენიმე შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ექსპერტებიც ესწრებოდნენ. ექსპერტები არ უარყოფენ, რომ რკინიგზის ლიანდაგსა და ზვარეს საბადოს შორის, 350 მეტრზე ნაკლები მანძილის არსებობის შემთხვევაში, საბადოს განადგურება ემუქრება. რკინიგზის წარმომადგენლები კი, პრივატულ საუბრებში აცხადებენ, რომ ხაზის მარშრუტის შეცვლა დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული — მშენებლობაში უკვე სოლიდური თანხებია დახარჯულიო. საინტერესოა, რა თანხად უღირს ქვეყანას უნიკალური საბადოს განადგურება? ქვეყნისთვის არ ვიცი და რკინიგზისთვის ეს თანხა, როგორც ჩანს, საკმაოდ სოლიდურია. ამიტომაც დაიწყეს რკინიგზის წარმომადგენლებმა ალტერნატიული გზების ძიება და შპს „ზვარეს“ ხელმძღვანელებს ერთ-ერთ შეხვედრაზე ისიც შესთავაზეს, მყარი გალერეა ავაშენოთ, ლიანდაგი მასში გავატაროთ და საბადო დაბინძურებისგან ასე დავიცვათო. არის თუ არა ეს გამოსავალი? — ექსპერტების დიდ ნაწილს ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი აქვს. ამბობენ, გარანტია არ არსებობს, რომ რხევებისა და ბიძგების შედეგად, მაზუთის გაჟონვა არ მოხდება და საბადოს საფრთხე არ შეექმნებაო, თუმცა, შპს „გამა კონსტალტინგის“ დირექტორი **ვახტანგ გვახარია** აცხადებს, რომ ჯერ დასკვნების გამოტანა ნაადრევია, რადგან: **„გალერეის მშენებლობა იდეის დონეზე გაჟღერდა. ჯერ არც დაკონკრეტებულა როგორ უნდა განხორციელდეს ეს იდეა. პროექტიც არ არსებობს. ამ ფონზე, ძალიან რთულია იმის თქმა, გალერეა მოხსნის თუ არა საბადოს დაბინძურების საფრთხეს და შეამცირებს თუ არა რისკებს. მთავარია, რკინიგზის და შპს „ზვარეს“ წარმომადგენლებთან ერთად, ვმსჯელობთ, როგორ გადავარჩინოთ საბადო“.**

შპს „ზვარეს“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ საბადოს გადარჩენის ერთადერთი გზა ისაა, რკინიგზამ სანიტარული ნორმები დაიცვას. ჯამბულ ლურსმანაშვილის განცხადებით, ისინი უკანდახევას არ აპირებენ. შპს „ზვარე“ და ზვარეს მოსახლეობა სასამართლოში სარჩელსაც შეიტანენ რკინიგზისა და გარემოს დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ. მანამდე კი, ოფიციალურად მიმართავენ ყველა შესაბამის უწყებას, დაინტერესდეს საკითხით. არაერთი წერილი უკვე გაგზავნეს გარემოს დაცვის სამინისტროში. მოითხოვეს, შეასრულოს უწყებამ მოვალეობა, დაიცვას საბადო განადგურებისგან და პასუხისმგებლობა დააკისროს რკინიგზას, რომელიც მშენებლობისას სანიტარულ ნორმებს არღვევს. გარემოს დაცვის სამინისტროდან ჯერჯერობით პასუხი არ ჩანს.

„ვერსია“ ეცდება ამ უწყების, რკინიგზისა და სხვა კომპეტენტური პირების პოზიცია უახლოეს მომავალში შემოგთავაზოთ.

ვის დაეკისრება პასუხისმგებლობა საბადოს განადგურების შემთხვევაში? რკინიგზას, რომელსაც შეუძლია თავი იმართლოს, ნებართვის საფუძველზე ვახორციელებ მშენებლობასო, ეკონომიკის სამინისტროს, რომელიც იტყვის, გარემოს სამინისტროს დასკვნის საფუძველზე გავეცი ნებართვაო თუ გარემოს დაცვის სამინისტროს? მორალურად, ალბათ სამივეს. იურიდიულად კი მას, ვისაც ამ ბარბაროსულ საქმეში დამნაშავედ სასამართლო სცნობს. სასამართლო პროცესი კი, შპს „ზვარეს“ წარმომადგენლების მტკიცებით, აუცილებლად გაიმართება, თუკი რკინიგზა საბადოს და სოფელს საფრთხეს შეუქმნის. საფრთხის მოახლოებას კი, ზვარელები, ყოველ დღე გრძნობენ, როცა ხედავენ მთაში, აფეთქების შედეგად გაჭრილ უზარმაზარ გვირაბს, რომელიც ადგილობრივებმა „სტიქიურ საფრთხედ“ უკვე მონათლეს.

„სუპერ პუმას“ ტიპის ვერტმფრენები შსს-ს გადაეცემა

„სუპერ პუმას“ ტიპის ფრანგული ვერტმფრენები შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცემა. შს მინისტრის, ვახტანგ გომელაურის განცხადებით, ეს ვერტმფრენები გამოიყენება სამაშველო სამსახურისთვის, ასევე სასაზღვრო მონიტორინგის მიზნით.

რაც შეეხება კითხვას, რატომ არ იყო გამოყენებული აღნიშნული ვერტმფრენები სტიქიის დროს, გომელაური ამგვარად პასუხობს: **„გამოყენებული ვერ იქნებოდა, რადგან დაახლოებით ორ წელიწადზე მეტია, ეს ვერტმფრენები უძრავად დგას და შემოწმება სჭირდება“.**

ამჟამად აღნიშნული ვერტმფრენები ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა და საქართველოს მთავრობა მათ გაყიდვას აპირებდა. ვახტანგ გომელაური აღნიშნავს, რომ შს სამინისტროს ისედაც ჰყავს ვერტმფრენი, თუმცა ისიც ვერ იქნებოდა გამოყენებული სტიქიის ღამეს, ამინდიდან გამომდინარე: **„ქალაქის პირობებში ის ვერ იფრენდა, იყო ჩამოვარდნის საფრთხე და ვერ გავრისკავდით ამ ბიჭების სიცოცხლეს და მას ვერ გამოვიყენებდით“.**

„ვერსიანიუსი“

საქართველო და ჩინეთი სოფლის მეურნეობაში ერთობლივ პროექტებს შეიმუშავებენ

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ჩინეთის ნინსიას მეტყევეობის ინსტიტუტის ნერგების ბიოინჟინერიის მთავარ ლაბორატორიას შორის, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროში განმარტავენ, აღნიშნული მემორანდუმი ითვალისწინებს ერთის მხრივ, ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შემუშავებას სოფლის მეურნეობაში, მცენარეთა გენეტიკური პლაზმის მოძიება-შეგროვების, მათი დაცვისა და განვითარების საქმეში, მეორეს მხრივ, სატყეო კულტურების, ვაზის გენოფონდის ინტროდუქციის, სელექციის და ჯანსაღი სარგავი მასალის წარმოებას.

მემორანდუმი ასევე ითვალისწინებს სემინარების მოწყობასა და აღნიშნულ სფეროში ერთობლივი ტექნოლოგიური კვლევების მიღწევების დანერგვას.

„მემორანდუმის ფარგლებში იგეგმება სასწავლო და საგანმანათლებლო პროექტები როგორც ბაკალავრის, ასევე მაგისტრის საფეხურებისთვის, ხოლო დოქტორანტებისათვის დაგეგმილია აკადემიური-გაცვლითი სამეცნიერო პროგრამები, რაც ხელს შეუწყობს მეცნიერული კვლევის დონის ამაღლებას. დღეისთვის, მსოფლიო ბაზარზე ნინსიას მეტყევეობის ინსტიტუტი ბიოინჟინერიისა და სხვა ახალი ტექნოლოგიური სქემებით ნერგების წარმოების ერთ-ერთი წარმატებული უწყებაა. ინსტიტუტი ორიენტირებულია მცენარეთა ქსოვილის კულტურების, გენეტიკური პლაზმის შეგროვება-გავრცელებისა და ნერგების გამრავლების ახალი ტექნოლოგიური სისტემების დანერგვაზე, ლანდშაფტებისა და მათი დაგეგმარების პროექტების განხორციელებაზე, ბაღის, სატყეო და ვაზის მცენარეთა ჯანსაღი ნერგების წარმოებაზე“, — აღნიშნავენ სამინისტროში.

მემორანდუმის გაფორმების შემდეგ, სტუმრებმა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მრავალწლოვანი კულტურების კვლევისა და სარგავი მასალების წარმოების დეპარტამენტის ჯიღაურას ექსპერიმენტული ბაზა და გენოფონდი დაათვალიერეს, დააგემოვნეს უნიკალური ჯიშებისაგან წარმოებული ქართული ღვინო და პირველი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები დაგეგმეს.

„პირველი“

ვარკეთილში მომხდარი მკვლელობის საზარელი დეტალები

საცოლე გაგუდა, დაანაწევრა, სხეულის ნაწილები ცელოფნის პარკებში გადაანაწილა და ნაგვის ურნაში ჩააგდო

პატიმარი №0578

მოგეხსენებათ, სასტიკი დანაშაულისთვის დაკავებული პირი არამარტო სასამართლოს მიერ ისჯება, არამედ მას სასჯელი უშუალოდ პატიმრებისგანაც ელის. უპატიებელი დანაშაულის გამო, პატიმრები დამნაშავეს სასტიკად ექცევიან და მხოლოდ ცემა თუ აკმარეს, მადლობელი უნდა იყოს. ძირითადი მასა ცემა-გვემის შემდეგ „საქათმეში“ მიდის. „საქათმე“ კი იმ ჯოჯოხეთში, რომელსაც ციხე ჰქვია, ცალკე ჯოჯოხეთია, თუმცა...

წლების წინ, ვარკეთილში გოგო მოკლეს. მკვლელობაცაა და მკვლელობაც — 19 წლის გოგონა დანაწევრებული იყო, გვამი რამდენიმე ცელოფანში გადაენაწილებინათ და სანაგვე ურნაში ჩაეგდოთ. სამართალდამცავებმა მაშინ დანაშაული ცხელ კვალზე გახსნეს და სოსო ჯ-ს 18 წელი მიუსაჯეს. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ სოსო გარდაცვლილი გოგონას საქმრო გახლდათ და მათ სიყვარულზე ლეგენდები დადიოდა. სოსომ სასჯელის დიდი ნაწილი „კრიტის“ ზონაზე გაატარა, შემდეგ კი ნახევრად ღია დაწესებულებაში გადაიყვანეს და ასე მოხვდა რუსთავის №17 დაწესებულებაში. მომხდარს არავინ ახსენებდა. სოსოც არასდროს საუბრობდა იმაზე, რა ჩაიდინა და არც „სროკს“ ითვლიდა. როცა მეტყვიან, მორჩა, გავალ და ეგ იქნებაო, ასე ამბობდა. არადა, შეუძლებელია პატიმარი გისოსებსმიღმა იყოს და დღეებს არ ითვლიდეს — საუკუნეც რომ ჰქონდეს მისჯილი, სასჯელს მაინც დაითვლის. და ვინც ამბობს, „სროკი“ მკიდიაო, უბრალოდ ტყუის.

„როგორც ვიცი, სოსო მაშინ დაიჭირეს, როცა ციხეებსა და ზონაზე ქურდები იყვნენ. შესაბამისად, რომ არ აეხსნა, რატომ გააკეთა ის, რაც გააკეთა, საქათმის პასაჟირი იქნებოდა. მე პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ გავგიჟდები, რომ არ მოვაყოლო, რატომ გაიმეტა ასე საცოლე. თან როგორი საცოლე, დანიშნული ჰყავდა უკვე და ერთ თვეში ქორწილი უნდა ჰქონოდათ“, — პატიმარი №0578 მაყურებლების კამერაში იჯდა და მშვიდად საუბრობდა.

„შენ სანამ თავს არ გაგიტეხავს ვინმე, მანამდე არ მოისვენებ, ხო? კაცს დავიწყებული ექნება ამბავი, შენ კიდევ უნდა დაუჯდე მაია ასათიანივით და ტვინი უბურღო. შეეშვი, რა“, — ურჩია მაყურებელმა.

„ჩემთვის მთავარია, თქვენ არ იბუზღუნოთ მერე, რა გაუხურე ამ პატიმრებსო და მაგასთან მე მოვაგვარებ“, — არ დანებდა №0578.

„კარგი, მიდი და თუ შემოგარტყა, იცოდე, მართალი იქნება და არ დაიწყო მერე, მაყურებლები რომ არიან ზონაზე, ხელს რატომ წევო და „რიჟა ბაზარი“. გასაგებია?!“ — ჰკითხა მაყურებელმა.

„გასაგებია“, — გაიღიმა №0578-მა და კამერიდან გავიდა.

სამჯერ სცადა №0578-მა სოსოსთან საუბრის დაწყება, სამჯერ დაუბღვირა სოსომ და სამჯერ გააფრთხილა, ამ თემაზე მეტი არასოდეს არაფერი მკითხოო და იმ ქურდების სახელები უთხრა, ვისთანაც ყველა მიზეზზე ნალაპარაკები ჰქონდა.

„მე თავისმართლებას კი არ გთხოვ, უბრალოდ ისტორია მაინტერესებს“, — უხსნიდა №0578, მაგრამ სოსოს არაფრის გაგონება სურდა.

რამდენიმე თვე გავიდა და ერთ დღეს სოსომ თავად თქვა, დღეს ათი წელი გავიდა, რაც დამიჭირესო. №0578-მა ყურები ცქვიტა, მერე ჩუმად ჰკითხა, დანაშაულის ჩადენიდან რამდენ ხანში დაგაკავესო და როცა სოსომ თქვა, იმავე დღესო, პატიმარმა შეუმჩნევლად გაიღიმა. ნაშუადღევს №0578 ისევ სოსოს კამერაში იყო.

„ერთგვარი იუბილე გაქვს დაჭერის, მრგვალი თარიღია და მოყევი, რა. ქურდებმა რომ გაპატიეს, მთელმა კრიმინალურმა სამყარომ იცის, მაგრამ ეგენი ქურდულად უყურებენ, მე ისე მაინტერესებს, ცხოვრებისეულად, რამ შეიძლება მიიყვანოს ადამიანი იქამდე, რომ საკუთარი საცოლე, ყველაზე საყვარელი ადამიანი ასე გაიმეტოს“, — №0578 ხვდებოდა, რომ ან ახლა მოყვებოდა სოსო რამეს, ან არასდროს.

„მოსაკლავი იყო. ახლა, ათწლიანი ჯოჯოხეთის მერეც ვფიქრობ, რომ მოსაკლავი იყო“, — ჩუმად თქვა სოსომ და №0578-ს ხმა არ გაუღია, შეატყო, სოსო მძიმედ, მაგრამ ისტორიის მოყოლას იწყებდა.

„თათა მარტო საცოლე არ იყო. ბაღში ერთად, სკოლაში ერთად, სასწავლებელში ერთად... ყველამ იცოდა, რომ ერთმანეთი გვიყვარდა, ყველამ... ნიშნობაც ისე გვქონდა, რა, ფორმალურად, ტრადიციების დაცვით და რამე... ჩემებიც და იმისებიც შეგუებულები იყვნენ ჩვენს ერთად ყოფნას. ჰოდა, იმ საბედისწერო დღეს ჩემთან ვიყავით, ცოტა დავლიეთ და მაშინ ვუთხარი, რაღა ქორწილი გვინდა, დარჩი ჩემთან და დავამთავროთ-მეთქი. კიდევ დავლიეთ და აზრზე რომ მოვედი, უკვე ვანაში მყავდა დამხრჩვალი და ვანაწევრებდი“, — სოსოს ცრემლი მოერია.

„ანუ მიზეზი არ გახსოვს?!“ — გაუკვირდა №0578-ს.

„მახსოვს... რამდენიმე თვის წინ, მეგობრების წრეში თემა იყო, უნდა მოიყვანოს თუ არა კაცმა ცოლად გოგო, რომელიც ქალიშვილი არ იქნება. ხომ ხვდები, ამაზე ბევრი ბაზარია ხოლმე, რა. მე ჩემი განაღდებული მქონდა და ვკაიფობდი, თუ უყვარს, აბა, რა უნდა ქნას-მეთქი და თათაც იქ იყო. ჰოდა, იმ დღეს, ჩემთან დარჩენა რომ შევთავაზე... თათა ქალიშვილი არ აღმოჩნდა. გონება დამებინდა, არ მახსოვს, როგორ ამოვდე ხელი ყელთან და როგორ დავაწექი კეფაზე, მაგრამ გავგუდე. მერე ვანაში... ყასაბი ვარ, ადამიანი კი არა, ხარი და კამეჩი იშლება პატარა დანით ნაწილებად, ნაჯახის ხმარება რომ არ გინდა ისე. ამიტომ, დანაწევრება არ გამჭირვებია, ცელოფანშიც კოხტად გადავანაწილე და ისე ჩავყარე ურნაში, წვეთი სისხლი არ დარჩენია არსად“, — სოსოს ცრემლები სდიოდა და აშკარად ვერ ხვდებოდა.

„მოიცა, კაცო, საცოლე მოკალი და პრაქტიკულად, არ იცი, რატომ და ვისი გულისთვის? იქნებ ბავშვობისას არასწორად დაეცა ან რამე მოუვიდა. ხდება ასეთი რამეები“, — პატიმარი №0578 გაოგნებული იყო.

„არა, არა... დაცემით არა, ყირაზე გადასვლით. მერე გავარკვიე, მე არ მეცალა იმ დღეს, კლასელები დამთვრალან, გოგოები, ბიჭები, აზელილან ერთმანეთში, ვინ ვისთან იყო, თავადაც არ ახსოვთ. ის სცენაც, ქალიშვილობაზე ჩემი აზრი რომ აინტერესებდათ, ამიტომ დადგეს თურმე, თათას ეშინოდა, მომკლავსო და დამშვიდებულა მერე, აზრი რომ გაიგო. ეს ამბავი რომ გასკდა, ჩემი სამი კლასელი გოგო გათხოვდა და კლასელებს გაჰყვნენ ცოლად, მაგრამ თავადაც ზუსტად იციან, რომ არ ახსოვთ, ვინ ვისთან იყო. უბრალოდ, მშობლებმა შეასრულეს, რა“, — გაეღიმა სოსოს.

„არ გეწყინოს, მაგრამ ვერ მივხვდი, რა, თქვენ ამბავს. კლასელები დათვრნენ, ერთმანეთზე გადავიდნენ, მეორე დღეს არავის არაფერი ახსოვდა, მერე შენ თათა მოკალი, სამი გოგო კი გათხოვდა. არ გეწყინოს, მაგრამ ასე არ ხდება“, — დაფიქრებით უთხრა №0578-მა.

„ხდება, თუ ქიმიას მიიღებ. რაღაც ტაბლეტები აურიეს დასალევში, სტიმულატორებიაო და გაითიშნენ. გონება გაეთიშათ, რა. ვიღაცებმა თავი ცუდად რომ იგრძნეს, სახლში ტაქსით წავიდნენ და იმათაც არაფერი ახსოვთ. ძლიერი ჰალუცინოგენები იყოო, ასე ახსნეს მერე ექიმებმა“, — ახსნა სოსომ.

„ახლა მოიცა... ნარკოტიკით გაითიშნენ და სექსი ჰქონდათ? თან ჰალუცინაციები? შენ რა, მართლა გონზე არ ხარ? ერექცია არ ექნებოდა არც ერთს, ბიჭო, რა აიზილნენ და ორგია მოაწყვეს. მაგ დროს შეიძლება ჩაისვარეს, ჩაიფსეს, მაგრამ სექსის თავი არ ექნებოდათ. თუ არა და აგერ, რამდენი სტაჟიანი ნარკომანია, აკადემიკოსები არიან მაგ ამბავში, მიდი და ჰკითხე მაგათ“, — ურჩია №0578-მა.

„ანუ, შენ ამბობ, რომ მაგ დროს სექსს ვერ გაქაჩავდნენ?!“ — ჰკითხა სოსომ.

„ვერა, ვერ გაქაჩავდნენ“, — დაბეჯითებით უთხრა №0578-მა.

„ჰოდა, მართლა მოსაკლავი ყოფილა. გამოდის, სხვასთან მიღალატა, სხვა დროს და შეგნებულად“, — სოსო კამერიდან გავიდა.

„მოიცა, ახლა რომ გახვალ, ქალიშვილი თუ არ აღმოჩნდა ვინმე, ისევ დაბრიდავ?!“ — დააწია №0578-მა.

„ცოლის მოყვანას მე არ ვაპირებ და რა მნიშვნელობა აქვს, ვინ ქალიშვილი იქნება და ვინ არა?!“ — უკან არ მოუხედავს, ისე თქვა სოსომ.

* * *

დღეს სოსო ჯ.-ს ერთი წლის გოგონა ჰყავს და მეორე შვილს დეკემბერში ელოდება. ნამდვილად ვერ გეტყვით, ქალიშვილი იყო თუ არა მისი ცოლი, მაგრამ აჭარის მაღალმთიანი სოფლიდან რომ ჩამოიყვანა, ზუსტად ვიცი.

ვერსიანიუსი

თბილისში მდინარე მტკვრიდან მაშველებმა ორი ადამიანი უვნებლად გამოიყვანეს

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მაშველებმა მდინარე მტკვრიდან ორი შუახნის მამაკაცი უვნებლად გამოიყვანეს. მოქალაქეები ზაჰესის მიმდებარე ტერიტორიაზე, წყლის დონის მატების გამო, მდინარე მტკვარში ხელოვნურად შექმნილ კუნძულზე აღმოჩნდნენ და მაშველების დახმარებას ითხოვდნენ. შეტყობინება საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ინციდენტების მართვის განყოფილებაში შემოვიდა. სამაშველო ჯგუფები შეტყობინების მიღებისთანავე გამოცხადდნენ შემთხვევის ადგილზე, სწრაფი რეაგირება მოახდინეს და მამაკაცები ნაპირზე უვნებლად გამოიყვანეს.

„ვერსიანიუსი“

ვაზაგაშვილის განზრახ მკვლელობის საქმეზე ბრალდებულ გია სოსანაშვილს ბრალი დაუმძიმდა

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ იური ვაზაგაშვილის განზრახ მკვლელობის საქმეზე ბრალდებულ გიორგი სოსანაშვილს ბრალი დაუმძიმა.

გამოძიების ინფორმაციით, გიორგი სოსანაშვილის მიერ 2015 წლის 20 იანვარს, კასპის რაიონის სოფელ ყარაფილაში განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი დანაშაული, პირდაპირ უკავშირდებოდა იური ვაზაგაშვილის აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას და მიმართული იყო მისი შეწყვეტისკენ: **„იური ვაზაგაშვილი იყო საზოგადოებრივი მოძრაობა „გადაარჩინე სიცოცხლის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და აქტიური წევრი. ამ საზოგადოების მიზანი იყო საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვა, ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება, საჯარო მოხელეთა მიერ უფლებამოსილების გადამეტების, ბოროტად გამოყენებისა და სამართალდამცავი სტრუქტურების მიერ გადამეტებული ძალის გამოყენებისადმი საზოგადოებრივი კონტროლის ხელშეწყობა, დაზარალებულის უფლებების დაცვა და სამართლიანობის აღდგენა ყველა სფეროში. 2014 წლის ბოლოს და 2015 წლის დასაწყისში იური ვაზაგაშვილი გამოირჩეოდა განსაკუთრებული აქტივობით და საჯარო გამოსვლებში სისტემატურად მოითხოვდა მისი შვილის — ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმის ობიექტურად გამოძიებასა და დამნაშავე პირების დასჯას. საჯარო გამოსვლებში ი. ვაზაგაშვილი აცხადებდა, რომ გეგმავდა საზოგადოებრივი მოძრაობის მეტად გააქტიურებას და საპროტესტო აქციების გამართვას, რაც გ. სოსანაშვილში იწვევდა განსაკუთრებულ გაღიზიანებას. იგი ნათლად ხედავდა, რომ ი. ვაზაგაშვილის საზოგადოებრივი აქტიურობის შედეგად, შესაძლოა დამდგარიყო მისთვის პატივსაცემი პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. გამოძიებით დადგინდა, რომ საქმე გვაქვს მსხვერპლის საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით ჩადენილ განზრახ მკვლელობასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, გ. სოსანაშვილს ბრალდება დაუმძიმდა საქართველოს სსკ-ს 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით. შეგახსენებთ, რომ გიორგი სოსანაშვილს თავდაპირველად ბრალი წარედგინა განზრახ მკვლელობისთვის ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და — საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენის, შენახვისა და ტარებისათვის. 2015 წლის 17 აპრილს, გ. სოსანაშვილს დაუმძიმდა ბრალდება განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი განზრახ მკვლელობისათვის. ამდენად, დღეის მდგომარეობით, გამოძიება გრძელდება საქართველოს სსკ-ს 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით, განზრახ მკვლელობა ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით და მსხვერპლის საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით და 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 16-დან 20 წლამდე ვადით ან უვადოდ“.**

„პირველი“

ბაჩო ტურაშვილი
598-47-87-14

„ვთხოვთ მთავრობას, გააგებინოს მსოფლიოს, რომ საქართველოში ჩამოსვლა უსაფრთხოა“

სასტუმროებისა და ჰოსტელების მეპატრონეები ტურისტული სეზონის ჩავარდნას პროგნოზირებენ

თბილისის სასტუმროებისა და ჰოსტელების მფლობელები სეზონის ჩავარდნაზე საუბრობენ. „ბუკინგ.კომ-ზე“ სასტუმროებში დაჯავშნილი ნომრების უმეტესობა უქმდება ძველი თბილისის მიმდებარე ტერიტორიებზე. სასტუმროს ადმინისტრატორები და მენეჯერები საქართველოში ტურისტების ჩამოსვლის დამაბრკოლებელ მიზეზებად, 13 ივნისის ტრაგედიას და ზოოპარკიდან მტაცებლების გაქცევას ასახელებენ. შეგხვდებათ ისეთებიც, რომლებიც პრობლემას ვერ ხედავენ და ამბობენ, რომ მათ სასტუმროებს დამსვენებელი არ აკლია. საქართველოში ჩამოსული ტურისტები კი თავს აშკარად მშვენივრად გრძნობენ, ცდილობენ, სიმღერა ხმებში გაშალონ და კარგადაც ერთობიან. ეს ის ტურისტები არიან, ვინც 13 ივნისის ტრაგედიას არ შეუშინდა, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, ვინც ჩვენი ქვეყანა სტიქიის გამო უკვე დატოვა. მაგალითად, 13 ივნისს, შუაღამეს, აზერბაიჯანელები სასტუმრო „მორგანიდან“ გაიქცნენ. „საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში“ აცხადებენ, რომ საქართველოში ტურისტული სეზონის ჩავარდნაზე საუბარი ნაადრევი და გადაჭარბებულია. მეტიც, მიიჩნევენ, რომ ჩვენს ქვეყანაში, ტურისტების შემოსვლის მხრივ, არავითარი საგანგებო მდგომარეობა არაა და სტიქიის შემდეგ უცხოელები ჩამოსვლისგან თავს სულაც არ იკავებენ. **„ჩვენი კომპანია რეგულარულად და ყოველდღიურად აწარმოებს როგორც უცხოურ, ისე ქართულ ტურისტულ კომპანიებთან მოლაპარაკებას. ჩვენ ვიღებთ და ვაანალიზებთ ინფორმაციას საქართველოში შემოსული თუ შემოსასვლელი ტურისტების შესახებ. თბილისში დატრიალებული ტრაგედია ტურისტებისთვის დამაბრკოლებელი ძირითადი მიზეზი არ არის, თუმცა გარკვეული კითხვები, რა თქმა უნდა, უჩნდებათ, უცხოურ ტურისტულ კომპანიებს. საქართველოში ტურისტული სეზონის ჩავარდნაზე საუბარი ნაადრევია, რადგან წინ ყველაზე ცხელი — ივლისი და აგვისტოა“,** — აცხადებს „ვერსიასთან“ საუბრისას „საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის“ ხელმძღვანელის პირველი მოადგილე **რუსუდან მამაცაშვილი.**

სააგენტოსგან განსხვავებით, ტურისტული სეზონის ჩავარდნაზე საუბრობენ თბილისში არსებული სასტუმროს მფლობელები. მაგალითად, „ვი-აი-პის“ მფლობელი **ელზა გიორგაძე** აღნიშნავს, რომ ბოლო ერთი კვირაა, მის სასტუმროში დაჯავშნული ნომრების უმეტესობა უქმდება. ქალბატონი ელზა, ამის მიზეზად 13 ივნისს დატრიალებულ ტრაგედიას ასახელებს. ამბობს, რომ კლიენტები სხვადასხვა ქვეყნებიდან უკავშირდებიან და ეკითხებიან, მართლა გაიქცა თუ არა ზოოპარკიდან ნიანგი და ლომი, არის თუ არა თბილისში დენი, სასმელი წყალი, გაზი და სხვა პირობები: **„კითხვა, რა თქმა უნდა, უამრავი აქვთ. საერთოდ აღარ მყავს კლიენტი და მეშინია — სეზონი რომ ჩავარდეს, რა უნდა ვქნა, არ ვიცი. ვთხოვ მთავრობას, მიიღოს რაიმე ზომები და გაუშვან საინფორმაციო სარეკლამო რგოლები იმის შესახებ, რომ საქართველოში ტურისტებს არავითარი საფრთხე არ ემუქრება. იმუშაონ შესაბამისად და დაიჭირონ გაქცეული ცხოველები“.**

თბილისში გაძვირებულ სასტუმროებსა და პროდუქტზე საუბრობს სასტუმრო „შარდენის“ ადმინისტრატორი ლინა წეროძე. აღნიშნავს, რომ დამსვენებლები ხშირად სწუხან საქართველოში არსებული ფასების გამო და ჩამოსვლისგან თავს იკავებენ. „შარდენი“ სტუმრების ნაკლებობას არ განიცდის, თუმცა რამდენჯერმე იყო შემთხვევა, როცა ტურისტებმა ჯავშანი გააუქმეს.

სასტუმრო „მორგანის“ მენეჯერი **მაია მამეიანი** სტუმრების ნაკლებობასა და ქალაქში არსებულ არასტაბილურ მდგომარეობაზე საუბრობს. მიანიშნებს, რომ საქართველოში შექმნილი ვითარების გამო კლიენტებს კარგავენ: **„დღეს სასტუმროში არცერთი სტუმარი აღარ გვყავს. მეტიც, ტრაგედიის ღამეს აზერბაიჯანელი ტურისტებიც კი გაიქცნენ სასტუმროდან. „ბუკინგ.კომზეც“ გაუქმდა რამდენიმე დაჯავშნილი ნომერი“.**

სასტუმრო ნაწილობრივ შევსებული აქვს „ელესას“ მფლობელ **მირზა პატარაიას.** იგი აღნიშნავს, რომ მათი სასტუმროს კლიენტები თბილისში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ ურეკავენ და ეკითხებიან, რა ვითარებაა ქალაქში. ისიც უცხოელებს უხსნის, რომ საგანგაშო არაფერია და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვეტენ სტუმრები საქართველოში ჩამოსვლას: **„რამდენიმე დღის წინ დამირეკა ერთმა კლიენტმა და მკითხა, რა ვითარებაა ჩვენთან. ავუხსენი, რომ საქართველოში, კერძოდ თბილისში არავითარი საფრთხე არ ემუქრება და ჩამოსვლა გადაწყვიტა. უკვე ჩემს სასტუმროშია განთავსებული“.**

აღნიშნული გარემოებების მიუხედავად, თბილისის ცენტრალურ და ძველ ქუჩებში ტურისტთა ჯგუფების ნაკადი მაინც შეინიშნება. აბანოთუბანში ესპანელი ტურისტები გაზონებზე არიან გაწოლილები, მღერიან და ერთობიან. პოლონელი ტურისტები ტანსაცმლის მაღაზიიდან გამოსულები პარკებით ხელში, ტაქსს აჩერებენ და კოტე აფხაზის ქუჩისკენ გადაადგილდებიან, იქვე კუთხეში სლავური შესახედაობის ტურისტები ჩურჩხელას ყიდულობენ და მისი რეცეპტითაც ინტერესდებიან.

თბილისში ჩამოსვლა არ აშფოთებს და პირიქით დიდ სიამოვნებას ჰგვრის ესპანელ **მარია ტერესა ბარიუსოს.** იგი ძალიან კარგად გრძნობს ქალაქის ქუჩებში და არც ფიქრობს იმაზე, რომ შესაძლოა მას რომელიმე მხრიდან ვეფხვი ან რომელიმე სხვა მტაცებელი ეცეს. პირიქით, ის და მისი მეგობრები ხუმრობენ კიდეც: **„თბილისი ძალიან ლამაზი და მშვენიერი ქალაქია. მე აქ ნამდვილი ბედნიერების სურნელს ვგრძნობ და მინდა ეს ყველას გავუზიარო. ის ფაქტი, რომ სადმე შეესაძლოა რომელიმე გარეული ცხოველი გამოხტეს, საერთოდ არ მანერვიულებს“.**

ასეთივე განწყობა აქვს მხიარულ და თბილისის ხედებით დამტკბარ **კარმენ იბეს ფრანკოს,** რომელიც ტურისტული მარშრუტით, თბილისში სომხეთიდან ორი დღის წინ გადმოვიდა: **„სომხეთში ვიყავი, როცა თბილისში სტიქია დატრიალდა. გეგმები მაინც არ შევცვალე. მაინტერესებდა ძველი თბილისი, ღვინო, კულტურა და აქაური სამზარეულო. მე შემიყვარდა ეს ქალაქი თავის გარეულ ცხოველებთან ერთად“.**

აღფრთოვანებას არ მალავს ესპანელი **მარგარიტა სანსიც,** თუმცა გვიამბობს, რომ მის სამეგობროში არიან ტურისტული ჯგუფები, რომლებიც თბილისში დატრიალებული ტრაგედიისა და აქ შექმნილი არასტაბილური მდგომარეობის გამო აუქმებენ დაჯავშნილ ნომრებს: **„ჩემს გარშემო არაერთმა ტურისტულმა ჯგუფმა გააუქმა შეკვეთა საქართველოში არსებული მდგომარეობის გამო. მათ ვეტყოდი, რომ აქ ჩამოსვლა მათთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. საქართველოში შესანიშნავ დროს ვატარებთ. არ მჯერა, რომ თბილისში ნებისმიერ დროს შეიძლება საფრთხე დაგემუქროს. მიხარია აქ ყოფნა და იმედს გამოვთქვამ, რომ როდესმე კიდევ ჩამოვალ საქართველოში ჩემს მეგობრებთან ერთად და ისინიც გაიზიარებენ ჩემს აღფრთოვანებას“.**

თბილისის სეისმური საფრთხეები

გეოლოგები და სეისმოლოგები ახალი რაიონული რუკების შექმნას ითხოვენ

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

თბილისში მომხდარი სტიქიური უბედურების შემდეგ გაჩნდა კითხვა: არის თუ არა დედაქალაქში ცხოვრება უსაფრთხო, რამდენად სანდოა ის მრავალსართულიანი შენობები, რომლებიც ბოლო წლებში განსაკუთრებული სისწრაფით შენდება, რა სეისმური საფრთხეების წინაშე ვდგავართ და რა პრობლემას უქმნის 16 წელს მიტანებული ე.წ. რაიონული რუკები სეისმოლოგებსა და გეოლოგებს? ამ და სხვა კითხვებით „ვერსიამ“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, სეისმოლოგ ზურაბ ჯავახიშვილს მიმართა.

— ბატონო ზურაბ, რამდენად მზადაა ჩვენი ქალაქი, სტიქიურ მოვლენებს, მათ შორის, მიწისძვრას გაუმკლავდეს?

— 2002 წლის შემდეგ, როდესაც 4,5 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა, მდგომარეობა დიდად არ შეცვლილა. ახლაც რომ იგივე განმეორდეს, შედეგი, ალბათ, იგივე იქნება, თუმცა გარკვეული ცვლილებები განხორციელდა. მაგალითად, სეისმური ქსელი უკეთეს მდგომარეობაშია — მიწისძვრიდან 2-3 წუთში, ინფორმაცია მიწისძვრის ეპიცენტრისა და სიმძლავრის შესახებ ავტომატურად ეგზავნება საგანგებო სიტუაციების, კრიზისების მართვისა და რიგ სხვა უწყებებს. მიწისძვრის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ შედეგების აღრიცხვა უმოკლეს დროში ხდება. 2002 წელთან შედარებით, სამაშველო სამსახურიც გაცილებით უკეთ მუშაობს.

— თბილისში არსებული შენობები რამდენბალიან მიწისძვრაზეა გათვლილი?

— 1992 წლიდან აშენებული შენობები 8 ბალზეა გათვლილი. მანამდე აშენებული კი — 7-ზე. 40 და 50-იან წლებში აშენებულ სახლებზე ვერაფერს გეტყვით... იმისთვის, რომ მშენებელმა ნებართვა მიიღოს, რიგი რეგულაციების დაკმაყოფილებაა საჭირო.

— თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, მშენებლები დაწესებულ ნორმებს პირნათლად იცავენ?

— გარკვეული კომპანიები ნორმებს ნამდვილად ითვალისწინებენ, თუმცა ჩვენი ნორმები მოძველებულია. დარაიონების რუკაც კი ძველი და გამოსაცვლელია. ახალი დარაიონების რუკა 1999 წელსაა შედგენილი ანუ 16 წლისაა და თამამად შემიძლია გითხრათ, რომ დრომოჭმულია და დღევანდელ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

— რას გულისხმობს „დარაიონების რუკა“ და მისი სიძველე რა პრობლემებს ქმნის?

— სეისმური დარაიონების რუკაზე აღნიშნულია სეისმური ზონები, სად და რა ეფექტზე უნდა იყოს გათვლილი შენობები.

— თუ თბილისი სეისმურ ზონებადაა დაყოფილი, სეისმურად ყველაზე აქტიური რომელი რაიონია?

— თბილისის სეისმურ ზონებად დაყოფა არასწორია. განსხვავება გრუნტების მიხედვით ხდება. აი, მაგალითად, საშუალო ხარისხის გრუნტი რვა ბალზეა გათვლილი. კლდოვანი გრუნტები — ერთი ბალით ნაკლებზე. ვერეს ხეობის მაგალითზე რომ ვთქვათ, შესაძლოა, ერთი შენობა ქვიშიან გრუნტზე იყოს აგებული, მეორე — არა. სიტუაცია შესაძლოა, ყოველ 5 ან ათ მეტრში იცვლებოდეს. იმისთვის, რომ სავალალო შედეგები ავიცილოთ, შესაბამისი რეგულაციების დაცვაა სავალდებულო.

იმის გასარკვევად, რა ვითარებაა დედაქალაქში ურბანული დაგეგმარების კუთხით, „ვერსია“ არქიტექტორ ლადო ვარდოსანიძეს დაუკავშირდა. მისი განმარტებით, ქალაქის დაგეგმარება არცთუ სახარბიელოა და ვერეს ხეობაში განვითარებული მოვლენები ურმის გადატრიალებას ჰგავდა, რომელმაც თბილისში არსებული ვითარება სააშკარაოზე გამოიტანა.

— თბილისში, ურბანული დაგეგმარების კუთხით, კრიზისული მდგომარეობაა?

— შეიძლება ითქვას, ასეა. მაგალითად ვაკესა და ზემო ვერაზე მდებარე ბეტონის კანიონებს მოვიყვან, რომლებსაც სახლებს უწოდებენ, რაც ყოვლად დაუშვებელია. ასევეა „აკადემ ქალაქიც“, რომელიც აბსოლუტურად ანტიურბანული გარემო და წარმოუდგენელი კვანძია, სადაც კარგად მოქმედებს პრინციპი, რომლის თანახმადაც, უძრავი ქონება არქიტექტურაა, არადა, ასე არ არის. თუ ნახავთ, როგორ წარმოედგინათ კომუნისტებს „აკადემ ქალაქი“ და ახლა როგორია, მიხვდებით რომ დამოუკიდებლობამ ქალაქდაგეგმარების აბსოლუტური დეგრადაცია მოიტანა. ეს ფასეულობები დასაბრუნებელია, თუმცა პირველ რიგში, ის დამოკიდებულებაა შესაცვლელი, რომელიც მწვანე სივრცისა და ზოგადად ურბანისტების მიმართ არსებობს.

— ქალაქში არასწორი მშენებლობების აღსაკვეთად რა კეთდება?

— დასაწყისისთვის, მინიმუმ, იმ ადამიანების სახელები უნდა გამოქვეყნდეს, რომლებმაც მსგავს უკანონო მშენებლობებზე ნებართვა გასცეს. როგორც არქიტექტორი, შეიძლება, ამას არ უნდა ვამბობდე, მაგრამ ვფიქრობ, ავტორების გვარები აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს. დანარჩენი კი პროკურატურის საქმეა.

— მშენებელი მშენებლობის ნებართვის მისაღებად რა ძირითად კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს?

— რომაელმა ინჟინერმა ჯერ კიდევ 2 ათასი წლის წინ გვითხრა, თუ რა არის საჭირო კარგი მშენებლობის დასაწყებად — სიმტკიცე, ფუნქციური მხარე და ესთეტიკა ანუ არქიტექტურა. ქალაქმშენებლობის ასპექტები ამ ტრიადაში გათვალისწინებული არაა. მდგრადობის პრინციპები, ეკონომიკა, ეკოლოგია და სოციალური საკითხებიც მისახედია. მთავარია, ხელისუფლებამ პოზიცია შეიცვალოს — მესმის, ბიუჯეტის მიმართ გარკვეული ეკონომიკური ვალდებულებები არსებობს, მაგრამ ქალაქი ფისკალური ინტერესებიდან გამომდინარე არ უნდა ვითარდებოდეს.

— არსებობს კონკრეტული სტანდარტი, რომლითაც თბილისში მშენებლობა ხორციელდება?

— რა თქმა უნდა, არსებობს, მაგრამ მთელ თბილისზე ერთიანი სტანდარტით საუბარი შეუძლებელია. დღეს არც საკანონმდებლო ბაზაა და არც ექსპერტები არიან, თუმცა ვიმეორებ: არ შეიძლება, ყველა მშენებელი, არქიტექტორი და დამპროექტებელი ერთად მოვაქციოთ, რადგან ზოგი კარგად მუშაობს, ზოგი — ნაკლებად კარგად. ვერეს ხეობაში მომხდარი შემთხვევა ურმის გადატრიალებას ჰგავს, რომელმაც თბილისში არსებული პრობლემები უფრო თვალსაჩინო გახადა.

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

რა იწვევს პედოფილიას და როგორ დავიცვათ ბავშვები პედოფილებისგან

სექსოლოგ ზურაბ მარშანიას რჩევები

ორიოდე დღის წინ, კახეთში ახალგაზრდა დაიჭირეს არასრულწლოვანი ბიჭების გაუპატიურების მცდელობის გამო. მანამდე, საზოგადოებას ზესტაფონის სოფელ ცხრაწყაროში, 42 წლის მამაკაცის მიერ 10 წლის ბავშვზე ძალადობის ფაქტმა დასცა თავზარი. ამ ფონზე, სტიქიის პარალელურადაც კი, ადამიანები ალაპარაკდნენ პრობლემაზე, რომელზე საუბარსაც ღიად აქამდე ყველა ერიდებოდა და საზოგადოებაში ლოგიკური კითხვებიც გაჩნდა — რა არის პედოფილია, მენტალური დარღვევა თუ აგრესიის გამოხატვის ყველაზე ძალადობრივი ფორმა? რამდენად ხშირია საქართველოში პედოფილიის შემთხვევები? რა პოლიტიკა აქვს სახელმწიფოს ამ პრობლემის მოსაგვარებლად? პედოფილი არის კრიმინალი, რომელიც მხოლოდ უნდა დაისაჯოს თუ უნდა განიკურნოს კიდეც? რომელი სფეროს წარმომადგენლებში გვხვდებიან ყველაზე ხშირად პედოფილები? რა ნიშნით უნდა „ამოვიცნოთ“ მოქალაქეებში პედოფილი და რაც მთავარია. როგორ უნდა დავიცვათ შვილები მსგავსი შემთხვევებისგან? „ვერსიის“ კითხვებს ექიმი-სექსოლოგი, მედიცინის აკადემიური დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სექსოლოგიის სრული პროფესორი ზურაბ მარშანია პასუხოაიბს.

— ბატონო ზურაბ, პედოფილია ავადმყოფობაა თუ ძალადობის ერთ-ერთი ფორმა?

— პედოფილია სექსუალური დისფუნქციაა, რომელიც ვლინდება სექსუალური ლტოლვით ბავშვების მიმართ. ასეთი ადამიანები ადეკვატურ სექსუალურ აღგზნებას მხოლოდ არასრულწლოვან ბავშვთან ურთიერთობისას ღებულობენ. რა თქმა უნდა, ეს არის ძალადობაც.

— რა ასაკში ვლინდება პედოფილია და რა იწვევს მას?

— პედოფილიის ფორმები შესაძლოა სხვადასხვა დროს გამოვლინდეს. არის ფორმები, რომლებიც ხანშიშესულ ადამიანებში ვლინდება. ზოგი — შედარებით ახალგაზრდებში. პედოფილია მეტწილად მამკაცებში გვხვდება, თუმცა არსებობენ პედოფილი ქალებიც. არის შემთხვევები, როდესაც სექსუალურ აქტს არ აქვს ადგილი, მაგრამ არის ამ საკითხზე ფანტაზია. რადგან კრიმინალი არის ქმედება, ფანტაზია კი არ არის კრიმინოგენული, უნდა ვივარაუდოთ, რომ პედოფილების რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე ფიქსირდება.

— შესაძლებელია ოედოფილის რაიმეთი „ამოცნობა“?

— მათი გამოვლენა კონკრეტულ ფაქტზე თუ იქნება შესაძლებელი, თორემ როგორც წესი, არაფრით განსხვავდებიან სხვა ადამიანებისგან. არიან ძალიან სასიამოვნო და რესპექტაბელური პიროვნებები.

— თქვენს პრაქტიკაში რამდენად ხშირად გქონიათ პედოფილ ქალებთან შეხვედრა?

— როგორც წესი პედოფილი მამაკაცბი უფრო ბევრნი არიან. ჩემს პრაქტიკაშიც მყავდა ერთი ქალბატონი, რომელმაც დაიჩივლა ამ პრობლემის შესახებ. როგორც წესი, ასეთ რამეს ადამიანები მალავენ.

— რა ტიპის ფსიქოლოგიურმა ტრავმამ შეიძლება გამოიწვიოს პედოფილია?

— მიზეზი შესაძლოა ბევრი იყოს. მაგალითისთვის შემიძლია მოგიყვანოთ პედრო ალმადოვარის ფილმი „ცუდი აღზრდა“, სადაც პედოფილის მიერ გაუპატიურებულმა ბავშვმა ცხოვრება დაიმახინჯა. მართალია ის პედოფილი არ გამხდარა, მაგრამ ამ შემთვევამ მასზე იმდენად მძიმე გავლენა იქონია, რომ საბოლოოდ მან სიცოცხლე ტრაგიკულად დაასრულა.

— ძალადობის გარდა რა ახდენს ამ სექსუალური დისფუნქციის პროვოცირებას?

— დადგენილი არ არის, კონკრეტულად რა იწვევს პედოფილიას. ეს შეიძლება იყოს სოციალური ფონი, სტრესი, დეპრესია, ქრონიკული ალკოჰოლიზმი... მითხარით, სწავლობს ვინმე, რა ტემპით მიდის დღეს საქართველოში ალკოჰოლიზაცია? დიდი მნიშვენლობა აქვს აღზრდასაც. ის ვისზეც ძალადობა განხორციელდა, ძალადობის ჩამდენი ხშირად თავადვე ხდება. ეს ძალიან საყურადღებო ფაქტია.

— თქვენი პრაქტიკიდან გამომდინარე, ყველაზე მეტად რომელი პროფესიის ადამიანებში გვხვდებიან პედოფილები?

— პიროვნება, რომელსაც აქვს პედოფილური მიდრეკილებები, ეძებს ისეთ პროფესიას, სადაც მეტი წვდომა აქვს მცირეწლოვანი ბავშვების მიმართ. პედაგოგებს ძალიან დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს პროფესია შესაძლოა ერთ-ერთ რისკჯგუფად განვიხილოთ.

— რამდენიმე დღის წინ საქართველოში პორნოგრაფიის გამავრცელებლები დააკავეს. მსგავი ქცევითი აშლილობების პრევენციისთვის ეს ეფექტური გზაა?

— პორნოსაიტები საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია. ამაში კრიმინოგენული არაფერია. გარკვეულწილად ეს სამკურნალო საშუალებაცაა იმ ადამიანებისთვის, ვისაც პოტენცია დაქვეითებული აქვს. სექსოლოგიაში უმნიშვნელოვანესი ფაქტორი მკურნალობის პროცესში დიაპაზონის გაფართოებას გულისხმობს, მაგალითად პოზების მრავალფეროვნებასა და გრძნობების გამძაფრებას. ეს მკურნალობის მეთოდია. საბჭოთა კავშირში, თუ სახლში ეროტიკული ხასიათის ვიდეოკასეტას გიპოვიდნენ, 3 წლით გაპატიმრებდნენ. ჩრდილოკორეაში დღესაც ხვრეტენ ამაზე, მაგრამ თუ იქით მივდივართ, ესეც მითხარით. საკაშვილსაც ეგონა, რომ სინგაპურში მივდიოდით, მაგრამ ნურას უკაცრავად, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, ოდესაში მუშაობს და მალე შესაძლოა ბელორუსის რომელიღაც სოფლის საბჭოს თავჯდომარედ დაინიშნოს.

— ისე საუბრობთ, თითქოს სააკაშვილიც ყოფილიყოს თქვენი პაციენტი. მითუმეტეს, ბევრს საუბრობდნენ, თითქოს მას სხვადასხვა გადახრა ჰქონდა.

— არ ვიცი. ჩემთან არ მოსულა. რომც მოსულიყო, არ გეტყოდით, მაგრამ დამიჯერეთ, მართლა არ მოსულა.

— ისევ ჩვენს საკითხს დავუბრუნდეთ. არის თუ არა შესაძლებელი პედოფილიისგან განკურნება? ასეთი რამ გქონიათ პრაქტიკაში?

— პედოფილიისგან განკურნება რთულია, თუმცა არსებობს რიგი მეთოდები. მათ შორის ფსიქოთერაპიული, მაგალითად ავერსული თერაპია. გსმენიათ ალბათ ალკოჰოლთან მიმართებაში, როდესაც ადამიანი ალკოჰლს სვამს ორგანიზმში დამატებითი საშუალებები შეჰყავთ, რომ გულისრევა გაუჩნდეს და ალკოჰოლი შეზიზღდეს. დაახლოებით იგივე ხდება აქაც. საზოგადოების მოთხოვნა პედოფილიის მიმართ ყოველთვის მკაცრად დასჯა იყო, მაგრამ მათ მკურნალობაც სჭირდებათ. აშშ-ში მაგალითად, პოპულარული მეთოდია პედოფილის სქესობრივი ლტოლვის დამაქვეითებელი საშუალებებით მკურნალობა. თუმცა, ეს ხდება ძალდატანებით, სასამართლოს ჩარევით. რამდენად ჰუმანურია ეს, სხვა საკითხია.

— პედოფილია იმდენად არაჰუმანურია, ჰუმანურობაზე ლაპარაკი ცოტა უცნაურია. თქვენ არ ამართლებთ ასეთი მკურნალობის მეთოდს?

— რა გითხრათ, შეიძლება ექიმი ასეთ რამეს ამართლებდეს?!

— საქართველოში რამდენად ხშირია პედოფილიის შემთხვევები. იქნებ რომელიმე რეგიონში ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას?

— შემიძლია ახლავე გითხრათ, რომ სტატისტიკა პედოფილიის შესახებ დღემდე არ წარმოებულა. პედოფილია ისეთი სახის დაავადებაა, რომელიც გვხვდება როგორც დიდ ქალაქში, ასევე პროვინციაშიც. კრიმინოგენული სტატისტიკაც ამაზე მეტყველებს. ეს პრობლება ხშირად ოჯახებშიც არის. თუმცა როგორც წესი, საიდუმლოა და მხოლოდ იმ შემთხვევაში მეღავნდება, როცა საქმე სასამართლომდე მიდის.

— ბოლო დროს პედოფილიის შემთხვევები მომრავლდა თუ მედიამ დაიწყო ამ პრობლემის უფრო აქტიურად გაშუქება?

— საკუთარი გამოცდილებიდან შემიძლია გითხრათ, რომ არა რაოდენობამ, არამედ ამ ფაქტის მიმართ საზოგადოების შეურიგებლობამ იმატა. თუ ადრე ოჯახს სრცცცხერვენოდა და ამ ფაქტს მალავდა, ახლა ნაკლებად მალავენ. თუმცა მედიის აქტიურობაც მნიშვნელოვანი ფაქტორია.

— რამდენად ეფექტური პოლიტიკა აქვს სახელმწიფოს პრობლემის მოსაგვარებლად?

— ზოგადად, საქართველოში არ არის სწორი პოლიტიკა მოსახლეობის სქესობრივი ჯანმრთელობის დაცვის კუთხით. არც სქესობრივი განათლების ამაღლებას ეთმობა ჯეროვანი ყურადღება და არც სქესობრივი დისფუნქციების პროფილაქტიკას თუ მკურნალობის საკითხის გაუმჯობესებას. ეს პროგრამები უნდა ფუნქციონირებდეს სახელმწიფო დონეზე. აქედან გამომდინარეობს რიგი სხვა პრობლემებიც.

— რას ურჩევთ მშობლებს, როგორ დაიცვან არასრულწლოვანი შვილები პედოფილებისგან?

— პირველ რიგში საჭიროა ელემენტარული სიფრთხილის ზომების დაცვა. აუცილებელია ბავშვთან მუშაობა და მისი ცნობიერების ამაღლება რიგ საკითხებზე. რაც უნდა პატარა იყოს ბავშვი, მან უნდა იცოდეს, რომ არ არის საჭირო უცხო ადამიანთან გამოლაპარაკება, მისგან საჩუქრების მიღება, მანქანაში ჩაჯდომა... მეორე საკითხი არის აღზრდის პროცესი. ბავშვი ისე უნდა აღიზარდოს, რომ გამოირიცხოს მასზე არაკეთილსაიმედო ფაქტორების ზემოქმედება, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ ფსიქოსექსუალური განვითარების დარღვევა. დესპოტიზმისა და ფსიქოლოგიური ძალადობის პირობებში ბავშვის აღზრდა მიუღებელია. პედოფილია მეტწილად მამაკაცების პრობლემაა, ამიტომ ამ შემთხვევაში, უმეტესად ის დედები სცოდავენ, რომლებიც განსაკუთრებული სიმკაცრით ეპყრობიან ვაჟებს. დამერწმუნეთ, რიგ შემთხვევებში, სიმკაცრე შესაძლოა მისაღები იყოს, მაგრამ ზღვარგადასული სიმკაცრე, სიკეთის მომასწავლებელი არასდროსაა.

დაუდევრობა საბავშვო ბაღში

საბავშვო ბაღში ბავშვები ქლორის გამოყენების გამო დაინამძინენ?!

გიორგი სირაძე
„ვერსიისთვის“ გურიიდან

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ მაჩხავრეთის საბავშო ბაღში ინციდენტი მოხდა, რასაც ორჯერ სასწრაფოს და ერთხელ პოლიციის გამოძახება მოჰყვა. ბაღის აღმზრდელსა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შორის დაწყებული შელაპარაკება იმდენად დიდ ხმაურში გადაიზარდა, რომ ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელმა, დავით წულაძემ 4 თანამშრომელს უფლებამოსილება დროებით შეუჩერა.

ფაქტი, რასაც დაპირისპირება მოჰყვა, მას შემდეგ დაიწყო, რაც აღმზრდელმა მადონა ზენაიშვილმა საპირფარეშოში ტოქსიკური სითხე „ქლორი“ მაშინ ჩაასხა, როცა სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა და ბაღის აღსაზრდელები ჯგუფებში იმყოფებოდნენ. როგორც თავად ხსნის, საკანალიზაციო სისტემიდან ამოსული უსიამოვნო სუნის გასაქრობად.

აღმზრდელი იმასაც ადასტურებს, რომ რამდენიმე ბავშვს დაახველა, თუმცა ამბობს, რომ ეს ტოქსიკური სითხის საპირფარეშოში ჩასხმას სულაც არ გამოუწვევია. დასძენს იმასაც, რომ სასწრაფო სამედიცინო დახმარება სულ სხვა ჯგუფში მყოფი ბავშვისთვის გამოიძახეს, რომელმაც თავი შეუძლოდ იგრძნო: **„დილით, 12 საათზე დამლაგებელი გასული იყო. მოვალეობას ასრულებდა ძიძა თამარ ჩხაიძე, ბავშვები გაყვანილი გვყავდა სუფთა ჰაერზე, ამ დროს ჩვენმა გამგემ, ქალბატონმა დალიმ ჩაატარა შაბათობა და ძიძა და მასწავლებელი გაიყვანა დასალაგებლად. ამოვედით ჯგუფში, ძალიან ცუდი სუნი გამოვარდა საპირფარეშოდან, მე ჩავთვალე საჭიროდ, ჩვეულებრივი ქლორი ჩამესხა. იმ დღეს ჯგუფში მყავდა 9 ბავშვი. სამ ბავშვს დაახველა, ძალიან ემოციური ვარ პატარებთან მიმართებაში, პანიკა ამბის მიტან-მოტანის გამო ატყდა. მომხდარის გამო ცენტრსაც დავურეკე და ვითარება ავუხსენი. რაც შეეხება ბავშვებს, გადაამოწმეთ, ჩემ ჯგუფში ცუდად არავინ გამხდარა, სხვა ბავშვი გახდა ცუდად მეორე ჯგუფში, ქლორის ჩასხმას არანაირი გართულება არ მოჰყოლია, რატომ გინდათ ყველაფერი ამ ფაქტს დაბრალდეს?“.**

ბაღის მენეჯერი „ვერსიასთან“ საუბარში ნაწილობრივ ადასტურებს, რომ ბავშვმა სისუსტე მას შემდეგ იგრძნო, რაც საპირფარეშოში ქლორის გამოყენება მოხდა. სხვა დეტალებზე არ უსაუბრია, დაგვიდასტურა მხოლოდ ის, რომ მომხდარის გამო მას უფლებამოსილება შეჩერებული აქვს. რაც შეეხება პოლიციისა და სასწრაფოს მეორედ გამოძახების ფაქტს, მენეჯერმა კომენტარი არ გააკეთა: „ბავშვი შუადღის პერიოდში გახდა შეუძლოდ, მოდუნება შეამჩნია პედაგოგმა, დაეწყო ხველა, მშობელმა გადაიყვანა საავადმყოფოში, რაც ენტეროვირუსად ჩაითვალა. ჯერჯერობით კომენტარის გაკეთებისგან თავს ვიკავებ, რაღაც გასარკვევი მაქვს, უფლება-მოვალეობა დროებით შეწყვეტილი მაქვს“.

„ვერსია“ მომხდართან დაკავშირებით ლანჩხუთის რეგიონულ ჯანდაცვის ცენტრს დაუკავშირდა, სადაც თავდაპირველად ბავშვების გადაყვანა მოხდა. **„მორიგე ექიმი იყო მარინა გოგიჩაიშვილი, რომლის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შემიძლია გითხრათ, რომ შემოყვანილი იყო 4 ბავშვი, რომელთაც აღენიშებოდათ გარკვეული ჩივილები. ნახსენები იყო ქლორით ინტოქსიკაციაც, თუმცა ჩატარებულმა გამოკვლევებმა მკვეთრი ინტოქსიკაცია არ აჩვენა. შემდეგ მშობლების ინიციატივით, ბავშვები გადაიყვანეს „მედალფას“ კლინიკაში. სხვა ინფორმაციას არ ვფლობ“,** — გვითხრა ამბულატორიული დახმარების კურატორმა, **ნინო კვირკველიამ.**

რაც შეეხება ლანჩხუთის „მედალფას“ ცენტრს, ქალბატონი, რომელსაც ტელეფონით დავუკავშირდით, ცენტრის დირექტორად გაგვეცნო და გვითხრა, რომ ბავშვებიდან, არც ერთს ქლორით ინტოქსიკაცია არ დაუდგინდა და არც რაიმე სახის დახმარებას საჭიროებდნენ: **„მშობლებმა ბავშვები შემოიყვანეს ჩვენთან, თუმცა არანაირი ჩივილები მათ არ ჰქონდათ. დარეკეთ ჯანდაცვის ცენტრში“.**

მუსერიძესთან ერთად კიდევ სამი თანამშრომლის უფლებამოსილების შეჩერებაზე საუბრობს ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელი **დავით წულაძე,** რომელიც მენეჯერს ინფორმაციის დამალვაში ადანაშაულებს, აღმზრდელის მხრიდან კი კომპეტენციის გადამეტებაზე საუბრობს. წულაძე იმასაც აღნიშნავს, რომ მომხდარით შესაძლოა პროკურატურა დაინტერესდეს. არის თუ არა სამართალდამცავების ჩარევის საჭიროება, მას შემდეგ გაირკვევა, რაც ოთხივე თანამშრომლისგან ახსნა-განმარტებას ჩაიბარებს: **„თუ საჭირო გახდა, პროკურატურასაც მივმართავთ. კონფლიქტში მონაწილე 4-ვე პირს უფლებამოსილება შეუჩერდა. ესენია: მენეჯერი, რომელსაც ფაქტების დამალვა არ ვაპატიეთ, ანი კერესელიძე, ზენაიშვილი, ქერქაძე და ცინცაძე. აღმზრდელმა ისე, რომ მას ეს არ ევალებოდა, საპირფარეშოში ქლორი ჩაასხა. უცნობია, რატომ“.**

დავით წულაძე საბავშვო ბაღში პოლიციის და სასწრაფო სამედიცინო სამსახურის ბრიგადის 2-ჯერ გამოძახებას ადასტურებს: „ერთ-ერთი პედაგოგი შეუძლოდ გამხდარა, კონფლიქტი დაიწყო მას შემდეგ, რაც აღმზრდელს ადმინისტრაციამ საყვედური უთხრა ქლორის ჩასხმის გამო, საყვედურს აღმზრდელის გაღიზიანება მოჰყვა. ამის შემდეგ გამოიძახეს სასწრაფო ხელმეორედ“.

შსს-ს პრესსამსახური ადასტურებს, რომ მომხდარზე გამოძიება ჯერ არ დაწყებულა.

რამდენად დასაშვები იყო სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს ტოქსიკური სითხის გამოყენება და რეალურად, გამოიწვევდა თუ არა მისი ჩასუნთქვა ბავშვებში ალერგიულ პროცესს? ექიმების განმარტებით: **„დაუშვებელია სწავლის პროცესში ქლორის გამოყენება, რომელმაც შესაძლოა ჩასუნთქვის დროს ალერგიული პროცესები გამოიწვიოს. ყველა საბავშვო ბაღს აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გარკვევით არის მითითებული, თუ როდის უნდა მოხდეს მსგავსი სითხეების გამოყენება“.**

„ეს არ არის რადიკალიზმი, რადიკალიზმი არ გინახავთ თქვენ“

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ყოფილი მოადგილე, ამჯერად კი, უკრაინის იუსტიციის მინისტრის მოადგილე, ქართველი გია გეწაძე ესწრებოდა გახმაურებულ შეხვედრას, რომელზეც მიხეილ სააკაშვილმა ოდესელი ჩინოვნიკები ადგილობრივი ბიზნესის რეკეტში დაადანაშაულა. გეწაძემ „ნოვოე ვრემიას“ ინტერვიუ მისცა, სადაც ისაუბრა, როგორ აღიქვამენ მთავარ ქართველ რეფორმატორს ოდესაში, მისცემენ თუ არა მას საშუალებას შეცვალოს რეგიონი და რა ბედი ელის მათ, ვინც მას წინააღმდეგობას გაუწევს.

— როგორ აღიქვამენ ოდესაში სააკაშვილს და ყველაფერ იმას, რისი კეთებაც მან აქ დაიწყო? თქვენ დაესწარით შეხვედრას, სადაც მან გალანძღა პროკურორები. ამაზე მათ როგორი რეაქცია ჰქონდათ?

— იქ იყვნენ არამხოლოდ პროკურორები, არამედ სხვადასხვა უწყების — იუსტიციის და შინაგან საქმეთა სამინისტროების, პროკურატურის, საბაჟოს... წარმომადგენლები. ეს იყო უბრალოდ საქმიანი, მუშა შეხვედრა.

— თქვენ გაქვთ ურთიერთობა ადამიანებთან, რომლებიც ოდესის ოლქში მუშაობენ. როგორ მიიღეს მათ ახალი ხელმძღვანელობა?

— ჩვენთვის მთავარია, ქვეყანაში სტაბილურობა იყოს და ეკონომიკა განვითარდეს. ამისთვის, უნდა გაუმჯობესდეს სერვისი მოსახლეობისა და ბიზნესმენებისთვის. არასაჭირო ნებართვები, ლიცენზიები, ამუხრუჭებს ეკონომიკას. ამის გამო, ძალიან რთულია ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, რის გარეშეც, ეკონომიკა ვერ განვითარდება. ამ ფონზე, მთავარი მიზანი, მათ შორის ჩვენთან, იუსტიციის სამინისტროშიც არის, გავამარტივოთ ესა თუ ის პროცედურები. ჩვენ უკვე შევქმენით ახალი ვებგვერდი, რომლითაც შესაძლებელია ცნობების მიღება სახლიდან გაუსვლელად. არადა, ამ დოკუმენტების გამო, ადრე ხალხი რამდენიმე დღე იდგა რიგში, ან ქრთამს უხდიდა ჩვენს თანამშრომლებს. სხვა სამინისტროებმა და სააგენტოებმაც უნდა ითანამშრომლონ და გააუქმონ სხვადასხვა უსარგებლო ლიცენზია, ცნობა და სერვისი გააუმჯობესონ.

ყველა საჯარო მოხელემ უნდა შეიგნოს, რომ ისინი არ არიან ხალხის უფროსები — ისინი მხოლოდ ემსახურებიან მათ, და ეს სამსახურიც, დროებითა. სანამ საჯარო მოხელეები ვართ, ხელოვნური პრობლემები კი არ უნდა შევქმნათ, ყოველ დღე იმაზე უნდა ვიფიქროთ, როგორ გავაუმჯობესოთ ცხოვრება.

წლების განმავლობაში აქ ვხედავდით ხალხს, რომლებიც ამბობდნენ: სახელმწიფო ინტერესი, სახელმწიფო ინტერესი — შემდეგ კი, ეს „სახელმწიფო ინტერესი“ მთავრდებოდა უდიდესი ვილებით...

— თქვენ ამას ხვდებით ქართული რეფორმის შემდეგ, მაგრამ ადგილობრივები როგორ რეაგირებენ?

— უკრაინაში საზოგადოება ხვდება, რა უნდა. ნებისმიერი, ადამიანი გააჩერეთ ქუჩაში და ჰკითხეთ — მათ ზუსტად იციან რა სურთ და როგორ უნდა განვითარდეს ქვეყანა. ეს ძალიან დიდი პლუსია.

— და ჩინოვნიკები, რომლებთან ერთადაც მუშაობთ?

— ჩინოვნიკმა, რომელიც ემსახურება ხალხს და ფიქრობს, რომ იმისთვის დანიშნეს თანამდებობაზე, მილიონები იშოვოს და ვილა იყიდოს რომელიმე ევროპულ ქვეყანაში, უნდა დაწეროს განცხადება და წავიდეს სახლში. წავიდეს და ბიზნესი აკეთოს. ჩინოვნიკები, რომლებსაც სურთ გამოიმუშაონ მილიონები, იმიტომ რომ ჩინოვნიკები არიან, უნდა წავიდნენ, უნდა გახდნენ ბიზნესმენები, ჩვენ კი, მათთვის სერვისს გავაუმჯობესებთ და ისინი როცა მოვლენ ჩვენთან სხვადასხვა დოკუმენტისთვის, არ გადაიხდიან ქრთამს. არჩევანი უნდა გააკეთონ. თუ ადამიანს სურს გახდეს ბიზნესმენი, იყოს ბიზნესმენი. მაგრამ თუ სურს, გახდეს საჯარო მოხელე, პროკურორი, იუსტიციის მინისტრის მოადგილე, საოლქო ხელმძღვანელი — ემსახუროს თავის ხალხს.

— როგორ აღიქვამენ სააკაშვილის რადიკალიზმს ოდესაში?

— ეს არ არის რადიკალიზმი. ეს ყოველდღიური მუშაობაა. თქვენ არ გინახავთ რადიკალიზმი. ყველა საჯარო მოხელემ უნდა იცოდეს, რომ სიცრუეს და შეცდომებს არავინ მოუთმენს.

— შეხვედრაზე სააკაშვილის მკაცრი ტონი სერიოზულად აღიქვეს თუ განწყობა ასეთი იყო — იყვირა და გაივლის?

— არ ვფიქრობ, რომ ყვიროდა. მუშა შეხვედრა გვქონდა, რომელსაც კონკრეტული შედეგები ექნება. ასეთი შეხვედრები კიდევ გაგრძელდება იმიტომ, რომ ჩვენ დრო არ გვაქვს. თვეობით ვერ დაველოდებით, როდის შეიცვლება ესა თუ ის პროცედურა. თანამდებობის პირებს აქვთ მოსაზრება — „ამის გაკეთება შეუძლებელია“, „ჩვენ არ გვჯერა ამის“. თუ ვინმეს არ სჯერა და ფიქრობს, რაღაც შეუძლებელია — დაწეროს განცხადება, გაათავისუფლოს ადგილი, ჩავატარებთ კონკურსს და ავიყვანთ საზოგადოების ისეთ წარმომადგენლებს, რომლებიც უკეთ იმუშავებენ. ადამიანებს, რომლებსაც არასოდეს უმუშავიათ საჯარო სამსახურში, რომლებსაც საერთოდ არ აქვს ამის გამოცდილება — იქნებ, ისინი უკეთესები აღმოჩნდნენ.

— როგორ ფიქრობთ, სააკაშვილს ოდესაში მისცემენ შესაძლებლობას გააკეთოს ყველაფერი, რის დეკლარირებასაც ახდენს? მას აქვს იქ რეალური ძალაუფლება?

— ვერ ჩავწვდი კითხვას: მოგცემენ მუშაობის საშუალებას? როცა სამსახურში მიდიხარ, აკეთებ შენ საქმეს. ამ კითხვას არც კი განვიხილავ. თუ ვინმე მუშაობაში ხელს შეუშლის — ხალხი გაიგებს. ჩვენს სამინისტროებში, საშუალო დონეზეც კი, არიან ადამიანები, რომლებიც იღებდნენ სოლიდურ თანხებს, მუშაობდნენ წლობით და არავინ იცნობს მათ სახეზე. დღეს, თუ ვინმე ხელს შეუშლის — ყველა გაიგებს მის შესახებ. შედეგი კი, აუცილებლად დადგება, 100%-ით ვარ დარწმუნებული.

— სამინისტროში თქვენი უმთავრესი საქმე სერვისის გამარტივებაა?

— ჩვენი მთავარი რეფორმები ეხება სფეროებს, სადაც მოქალაქეებს ჩვენს სისტემასთან დიდი შეხება ჰქონდათ. ეს არის რეგისტრაცია და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება.

რეგისტრაციის სფეროშია ბავშვის დაბადება, მიწის, იურიდიული თუ ფიზიკური პირების რეგისტრაცია... ამ ყველაფერს დღეს ვამარტივებთ. პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია. მოვამზადეთ ძალიან კარგი კანონპროექტი, რომელიც უკვე პარლამენტშია და ვფიქრობთ, 1 სექტემბრიდან, სერვისი ძალიან გამარტივდება. ცნობების გაცემა ერთ, ორ დღეში იქნება შესაძლებელი, რასაც აქამდე თვეებიც კი სჭირდებოდა.

მეორე მიმართულებაა სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება. შემოგვაქვს კერძო აღმასრულებლების ინსტიტუტი. სახელმწიფო აღმასრულებლებს კი, მაღალი პრემიები ექნებათ, რადგან მიიღებენ ბონუსებს, პროცენტებს აღსრულებული საქმეებიდან. ეს ნიშნავს, რომ ჩვენს თანამშრომელს, კარგად მუშაობის შემთხვევაში, თვეში 100 ათას გრივნაზე მეტის გამომუშავების საშუალება ექნება. პარალელურად, ისინი კონკურენციას გაუწევენ კერძო აღმასრულებლებს.

თუ იუსტიციის სამინისტროში ამ ორი მიმართულების გაუმჯობესებას მოვახდენთ, კორუფცია, უბრალოდ დაკარგავს აზრს. ამას დაუმატეთ, რეგისტრაციის სფეროში ის, რომ ყველა ნოტარიუსს ექნება რეგისტრაციის უფლება. ადგილობრივ თვითმმართველობას ექნება ყველაფრის რეგისტრაციის უფლება. შეიქმნება ბუნებრივი კონკურენცია, რომლის დროსაც აზრს დაკარგავს კითხვა, ვინ არის თქვენთან უფროსი? და ამ სისტემას შემდეგ ვერავინ შეცვლის, ვერავინ შეძლებს ამაზე ფული აკეთოს.

— ფიქრობთ, ეს ყველაფერს წლის ბოლომდე შესაძლებელია?

— აუცილებლად. ჩვენი მიმართულებით, აუცილებლად. ჩვენ სხვა გეგმებიც გვაქვს. ვეცდებით გავამარტივოთ სერვისი მოსახლეობისთვის და რაც მთავარია, ბიზნესისთვის. ბიზნესი არ უნდა იყოს დაკავშირებული, მიბმული სახელმწიფო დაწესებულებებთან. პროკურორი არ უნდა ელაპარაკებოდეს ბიზნესმენებს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ თავის საქმეს უნდა მიხედოს, იუსტიციისამ — თავისას. ბიზნესი კი, ბიზნესმენმა უნდა აკეთონ.

აშშ აღმოსავლეთ ევროპაში ტანკების შეყვანას აპირებს

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მძიმე სამხედრო შეიარაღების გაგზავნის შესაძლებლობას განიხილავს. ვაშინგტონის მთავარი ამოცანაა, ვალდებულებების დემონსტრირება მოახდინოს და ნატო-ს აღმოსავლეთევროპელი პარტნიორები დაამშვიდოს. რუსი პოლიტიკოსების განმარტებით, თუ აშშ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში შეიარაღების შეყვანას გადაწყვეტს, მოსკოვი იძულებული გახდება, საპასუხო ქმედებები განახორციელოს. მაგალითად, დასავლეთის საზღვართან სარაკეტო კომპლექსი „ისკანდერი“ განათავსოს.

პენტაგონი აღმოსავლეთ ევროპაში მძიმე სამხედრო შეიარაღების შეყვანას განიხილავს, რათა „შეაჩეროს რუსეთის შესაძლო აგრესია“, — ინფორმაციას, საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით, ამერიკული გაზეთი „ნიუ-უორკ თაიმსი“ ავრცელებს. სტატიაში ისიცაა განმარტებული, რომ კონფიდენციალურ წყაროს, აშშ-სა და ნატო-ს მნიშვნელოვანი სტრუქტურები წარმოადგენენ.

გამოცემის მტკიცებით, ტექნიკას სავარაუდოდ, გაგზავნიან პოლონეთში, ლატვიაში, ესტონეთში, ლიტვაში, რუმინეთში, ბულგარეთში, შესაძლოა უნგრეთშიც. საუბარია 5 ათასი სამხედრო მოსამსახურის მობილიზებაზე. გადაწყვეტილებას მხარი უნდა დაუჭიროს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო უწყების ხელმძღვანელმა ეშტონ კარტერმა და თეთრმა სახლმა.

გამოცემის წყარო ასევე აზუსტებს, რომ გადაწყვეტილება შეიძლება სისრულეში მოიყვანონ ნატო-ს წევრი ქვეყნების სამიტამდე, რომელიც ბრიუსელში 24-25 ივნისს გაიმართება.

საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის, — აცხადებს პენტაგონის ოფიციალური წარმომადგენელი, პოლკოვნიკი სტივ უორენი: „ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულმა ძალებმა წინასწარი განლაგების მასშტაბი გააფართოვეს, ნატო-ს პარტნიორებისთვის სამხედრო წვრთნების პროცესში. აშშ-ს სამხედრო ძალები განაგრძობს ამ მასალების შესანახად შედარებით შესაფერისი ადგილის ძებნას და ამ მიზნით, კონსულტაციებს აწარმოებს მოკავშირეებთან. ჯერჯერობით, არ მიგვიღია გადაწყვეტილება, ღირს თუ არა, გადავაადგილოთ აღჭურვილობა და თუ ღირს, კონკრეტულად, როდის“.

თუ გადაწყვეტილებას მიიღებენ, ეს იქნება პირველი ნაბიჯი „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, რომლის ფარგლებშიც ამერიკის შეერთებული შტატები განათავსებს მძიმე სამხედრო შეიარაღებას აღმოსავლეთ ევროპის ანუ იმ ქვეყნებში, რომლებიც საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროში შედიოდნენ, — აღნიშნულია „ნიუ-იორკ თაიმსის“ პუბლიკაციაში.

„ცივი ომის“ დროს, ევროპაში აშშ-ს სამხედრო ძალების რაოდენობა 200-300 ათასი ადამიანი იყო, — ახსენებს საზოგადოებას მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამერიკის შეერთებული შტატების შემსწავლელი ფონდის დირექტორი იური როგულევი: „მაშინ ეს იყო სრულად აღჭურვილი სამხედრო ძალები. დღეს კი, ეს არის 5 ათასი ადამიანზე მეტი“.

პენტაგონის გეგმები, ექსპერტის მოსაზრებით, ომის საფრთხედ კი არა, უბრალოდ, რუსეთზე ეკონომიკური და ინფორმაციული ზეწოლის კონტექსტში უნდა განვიხილოთ. მიუხედავად ამისა, მისი თქმით, „ატმოსფეროს“ მსგავსი ნაბიჯები უკეთესობისკენ ვერ შეცვლის და მოლაპარაკება კიდევ უფრო გართულდება: „ზეწოლის ფონზე მოლაპარაკებები, როგორც წესი, არ არის წარმატებული“.

თავდაცვისა და შიდაპოლიტიკის საბჭოს ხელმძღვანელი თეოდორ ლუკიანოვი მიიჩნევს, რომ ხდება ვაშინგტონის შიდაპოლიტიკური კურსის ცვლილება, თუმცა „ნამდვილი „ცივი ომის“ სტანდარტებით“, აღმოსავლეთ ევროპაში შესაყვანი ძალების დასახელებული ციფრები უმნიშვნელოა. ისინი ახდენენ ბოლო 20-წლის უარის პოლიტიკის დემონსტრირებას.

ექსპერტი ყურადღებას ამახვილებს, რომ აღნიშნულ ქვეყნებში დასახელებული კონტინგენტის გაგზავნა, ნატო-რუსეთის იმ ურთიერთთანამშრომლობისა და უსაფრთხოების აქტს ეწინააღმდეგება, რომელსაც მხარეებმა ხელი 1997 წელს მოაწერეს.

„საინტერესო და პრინციპულია, როგორ გადაწყდება ეს საკითხი“, — აცხადებს ლუკიანოვი. ის მიიჩნევს, რომ შესაძლოა დოკუმენტის შინაარსი „შემოქმედებითად შეცვალონ“ ან აღნიშნულ ტერიტორიებზე არ განათავსონ ბაზა.

Pew Research-ის გამოკითხვის თანახმად, გერმანიის, საფრანგეთისა და იტალიის მოქალაქეების უმრავლესობა არ მიიჩნევს საჭიროდ ალიანსის პარტნიორების დასაცავად სამხედრო ძალის გამოყენებას. ბალტიისპირეთში „ძალიან ნერვიულობენ და მათ აჩვენებენ, რომ მათი უსაფრთხოება, ძველებურად მნიშვნელოვანია“, — აცხადებს ლუკიანოვი.

მისი მოსაზრებით, პენტაგონის წინადადების რეალიზაცია, მეტწილად დამოკიდებულია ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსურ-ეკონომიკურ შესაძლებლობებზე: „პარადოქსული ვითარება იქმნება. დღეს, ამერიკაში, ერთი მხრივ, საუბრობენ სამხედრო შესაძლებლობების გაძლიერება-მშენებლობაზე. მეორე მხრივ კი, მიდის დისკუსია, როგორ შეამცირონ ხარჯები ამ სფეროზე“. როგორც ლუკიანოვი ამბობს, მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ახსოვს „ცივი ომის“ გაკვეთილები, ვაშინგტონის განზრახვა სერიოზულია: „ჩვენ გავიარეთ ეტაპი, როცა „ცივი ომის“ შედეგები იყო მხოლოდ რიტორიკული. რაც შეეხება მსგავს განცხადებებს, მათი რიცხვი მომავალში შემცირდება“.

ამერიკაში განსაზღვრეს „რუსეთის შემაჩერებელი სამომავლო სტრატეგია, რომელსაც აქვს ძლიერი სამხედრო კომპონენტი“. მოსკოვი მარტო არ განიარაღდება, აცხადებს ფედერაციის საბჭოს წევრი საერთაშორისო საკითხებში იგორ მოროზოვი.

სენატორის აზრით, რუსეთის ხელისუფლება იძულებული გახდება უპასუხოს ახალ გამოწვევებს სარაკეტო კომპლექს „ისკანდერ-M“-ის განთავსებით დასავლეთ საზღვარზე და წყალქვეშა ფლოტის გააქტიურებით წყნარ და ატლანტიკის ოკეანეებში.

სახელმწიფო დუმის საერთაშორისო საქმეების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლეონიდ კალაშნიკოვი კი აცხადებს, რომ რუსეთმა უნდა მოახდინოს რეაგირება ამერიკის შეერთებული შტატების ქმედებებზე.

„ისკანდერი“ — ეს პასუხია რაკეტსაწინააღმდეგო გაძლიერებაზე და აქ ის ზედმეტია, აცხადებს დეპუტატი: „ტანკებზე რაკეტებით რეაგირება, უაზრობაა. უფრო ადეკვატური იქნება, გავაძლიეროთ იგივე სახის შეიარაღება“.

კალაშნიკოვი გვახსენებს, რომ აშშ-ს გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია, ამიტომ ჯერჯერობით, საუბარია მხოლოდ „საინფორმაციო ჩხვლეტებზე“.

დუმის თავდაცვის კომიტეტის წევრი ფრანც კლინცევიჩი დარწმუნებულია, რომ ამერიკა, მძიმე შეიარაღების რაღაც ნაწილს, ევროპაში აუცილებლად განათავსებს: „ინდივიდუალური ელემენტები იქ უკვე არის. ახლა ისინი უბრალოდ თავისი მოქმედების ლეგალიზებას ახდენენ“.

დეპუტატის აზრით, ამგვარი ნაბიჯების მიზანი ერთადერთია — ჩაითრიონ რუსეთი „ცივ ომში“, რომელიც უარყოფითად აისახება ეკონომიკაზე. რაც შეეხება კონკრეტულ საპასუხო ქმედებებს, მათზე საუბარი შესაძლებელი იქნება მას შემდეგ, რაც უფრო ნათელი გახდება ვაშინგტონის ქმედებები.

გაზეთა.რუ

1. ექიმების თათბირი მძიმე და-ავადებასთან დაკავშირებით
2. წერა-კითხვის შესასწავლი წიგნი
3. კონგოს დე-მოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქი
4. სახელოვანი ესპანელი ჩოგბურთელი
5. მგა-ლობელი ფრინველი
6. აქლემისე-ბრთა ოჯახის ცხოველი
7.სპორტის სახეობა, იგივე კულტურიზმი
8. ცხენის ფეხზე და-საკრავი რკინა
9. შეძახილი კავკასიურ ცეკვებში
10. რუსი საბჭოთა კინორეჟისორი
11. ტექსტი, რომლიდანაც გადააქვთ ასლი
12.მუსიკალუ-რი საკრავის ფეხის ბერკეტი
13. საყანედ გაკაფული ტყე
14. ფუტკრის სახლი
15. მსხვილი სეტყვა
16. წყვილჩლიქ. ცხოველი ძროხისებრთა ოჯახიდან
17. „თავი-სუფლების კუნძული“
18.ქალაქი რუმინეთში
19.ვრძელი მორი
20. „ცხოველების ფერმის“ ავტორი
21. ვაზების მწკრივი ვენახში
22. მაყურებელთა შეძახილი კორიდაზე
23. არაბული ფლეიტა
24. წრის ფორმის საგანი
25. ნაკურთხი წყალი
26. ხმელთა-შუა ზღვის ნაწილი
27.ბერძნული წარმოშობის ქართველი დირიჟორი
28. მშრალ ხევზე გაყ-ვანილი ხიდი
29. მწერი-ჭამია მცენარე
30. გა-დაშენებული მორბენალი ფრინველი
31. კრივის მოედანი
32.პროსპექ-ტი აშშ-ში
33.ჭაობის მცენარე
34. ნოტიო და ჩახურე-ბული ფქვილი
35.ტაეპები, რომლებიც ლექსში მეორდება
36. მზის საგალობელი რაჭაში
37. „ოტელოს“ პერსონაჟი
38. ტირიფის ნაირსახეობა
39.პოპუ-ლარული ჯა-ზური მუსიკის სტილი
40.მეცნიერება ამინდის წი-ნასწარ გამოც. შესახებ
41. მეუღლის მოტყუება, ღალატი
42. საქონლის წვნიანი საკვები
43.ქართული ჟურნალი
44.იგივეა, რაც აირი
45. ისრაელის წარმოების ავტომატი
46. ქალაქი საფრანგეთში
47. ესპანური ხალხური ცეკვა
48. კატა „ბურატინოს თავგადა-საგალში“
49. იგივეა, რაც ნუშისებრი ჯირკვალი
50.ძვ. ფრ. სიგ-რძის საზომი
51.ქალაქი ირანში
52. წილი საეთო საქმეში
53. საგანთა ნუსხა
54. ახლად მოჭრილი წკეპლა
55.მექსიკის გერბზე გამოსახული მცენარე
56.ზრდილობ. დასტურის გამომხატველი სიტყვა
57.ფაშისტთა პირველი საკონცენტრა-ციო ბანაკი
58. მთავრო-ბისადმი მიმარ-თული წერილ. თხოვნა
59. პრო-ფილაქტიკური სამედიცინო პროცედურა
60.ჩეხური ავტოსამ-შენებლო კომპანია
61. თურქი ჯარისკაცი
62. ნაპოლეო-ნის ერთ-ერთი მარშალი
63.(მოძვ.) ერ-თად შეყრილი ხალხი
64. საფქ-ვილე ყუთი წისქვილში
65. ახალზ-ელან-დიური ფრინველი
66. ცხელი მატონიზი-რებელი სასმელი
67. მტა-ცებელი თუთიყუში
68. ელდარ რიაზანოვის ფილმი
69. (ძვ.) აბრეშუ-მის საპირანგე ქსოვილი
70. მონარ-ქიულ სახ-ელმწიფოთა კავშირი
71.სიმინდის ხმელი ღერო და ფოთლები
72.ჩეხური წარმოშობის საბალო ცეკვა
73. მაგარი ქანი
74. მისლიმან-თა ღმერთი
75. ცეცხლის მნათი ნაწილი
76. დიდი იტალიელი ტენორი
77. თანაბარი ანგარიში ფეხბურთში
78. პურეული მცენარე
79. ქალაქი ინდოეთში
80. მატერიის არსებობის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა
81. ამერიკის აღმომჩენი
82. ბრინჯაო ძველ ქარ-თულში
83. ჯოჯოხე-თის ცეცხლი
84.მიმართვა ფრ. მეფისადმი
85. გაზაფხ-ულზე ნაპარსი მატყლი
86. ჯუჯა კამეჩი
87. უნგრელი მწერალი მორ ...
88. ჯუზეპე ვერდის ოპერა
89. ანტარქტი-დის ყველაზე გრძელი მდინარე
90.ქართული ლიტერა-ტურული პრემია

სექსი საშიში ყოფილა

ჯანდაცვის მსოფლიოს ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველწლიურად ჩვენს პლანეტაზე სექსის დროს 50 ათასი ადამიანი იღუპება. მთავარი მიზეზი კი საკუთარი შესაძლებლობების გადაჭარბებული შეფასებაა. აშშ-ს კარდიოლოგიური საზოგადოების მკვლევართა განცხადებით, დაღუპულთა უმრავლესობას (90%) მამაკაცები შეადგენენ, ამასთან, მათი 75% სიკვდილის წინ მეუღლეს ღალატობდა. სტატისტიკის მიხედვით, ინტიმური ურთიერთობის დროს იმქვეყნად გასტუმრების შანსი მამაკაცებს 20-ჯერ მეტი აქვთ, ვიდრე სუსტი სქესის წარმომადგენლებს. ასეთ ვითარებაში გარდაცვალების მთავარი მიზეზი ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობას, პირველ რიგში კი, გულსისხლძარღვთა პრობლემებს უკავშირდება. სიამოვნების პროცესს, ძირითადად, საპატიო ასაკის მქონე ადამიანები ვერ უძლებენ — სექსი კი, როგორც ცნობილია, დიდი დატვირთვაა ორგანიზმისთვის. სიკვდილის მიზეზი ხდება ასევე მომატებული წნევა, ჭარბი წონა, ნახშირწყლების გაცვლითი პროცესის დარღვევა, ალკოჰოლის ჭარბი დოზის მიღება, ასევე ემოციების მოზღვავება, რასაც ზოგჯერ ვერ უძლებს ადამიანი. სიკვდილის მიზეზი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ფაქტორები, არამედ გაუფრთხილებლობა, ზოგიერთი ისტორიული წყაროს ცნობით, სექსის დროს გარდაიცვალა ჩინგისხანი, იმპერატორი კარლ დიდი, ავიცენა და რომის პაპი ლევ VII, აღორძინების ხანის მხატვარი რაფაელი და პარიზის არქიეპისკოპოსი.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲠᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

				8		7	4	5
			5					9
		3			7		8	
			4			6		2
		2	9		1	5		
7		4			5			
	5		7			4		
6					4			
4	9	7		1				

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

	6	3	5				1	
						9		
				8		7		3
3		6	1					7
1				7				5
9					2	4		1
8		2		4				
		7						
	9				7	3	8	

ᲠᲗᲣᲚᲘ

		5			8			
	2			7		3		
7	6		2			8		
5	4				6		9	
	3						8	
	9		4				6	5
		9			1		7	2
		6		5			4	
			8			6		

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

	4					2		1
		5	2					
	2			7	6		4	3
5					8	6		
1								2
		7	5					9
2	7		4	8			9	
					7	4		
4		8					1	

სიყვარული გენომზეა დამოკიდებული

ბრაზილიელმა სწავლულებმა პარანას უნივერსიტეტიდან გაარკვიეს, რომ ადამიანები პარტნიორად ირჩევენ მათ, ვისი გენომი საკუთარისგან განსხვავებულია. გამოკვლევამ აჩვენა, რომ მეუღლეებს უფრო ხშირად აქვთ გენეტიკური განსხვავება დნმ-ის ნაწილში (რომელიც იმუნურ სისტემას აკონტროლებს), ვიდრე შემთხვევით პარტნიორებს. სპეციალისტებმა 90 ცოლ-ქმრისა და შემთხვევით ამორჩეული 152 საკონტროლო წყვილის გენეტიკური მონაცემები შეადარეს. აღმოჩნდა, რომ დაქორწინებულებს გენომში (ჰისტოშეთავსების მთავარ კომპლექსში, რომელიც გავლენას ახდენს შთამომავლობის ჯანმრთელობაზე) უფრო მეტი განსხვავება აქვთ. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ დიდი ალბათობით, ასე ავლენს თავს განსაკუთრებული ევოლუციური სტრატეგია, რომელიც ჯანმრთელი მემკვიდრეების გაჩენის გარანტიას იძლევა. თუმცა, მკვლევარები ვერ გარკვეულან, რა სიგნალები იზიდავს ერთმანეთთან გენეტიკურად განსხვავებულ ადამიანებს, შესაძლოა, აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს სხეულის სუნი და სახის სიმეტრია.

შოკოლადი წნევას დაგიწევთ

ამერიკელმა სპეციალისტებმა ჩრდილოეთ არიზონას უნივერსიტეტიდან შეძლეს უნიკალური შოკოლადის შექმნა. ექსპერიმენტებისას მათ დაამტკიცეს, რომ ამ სასწაულმოქმედი ტკბილეულის მოხმარება აქვეითებს სისხლის წნევას. სწავლულთა მოსაზრებით, მათი ნახელავი აღმოჩენა იქნება იმ ადამიანებისთვის, ვისაც დღის განმავლობაში მოთენთილობა აწუხებს. ახალი შოკოლადი შეიცავს სპეციალურ სტიმულატორებს, რომელიც ეხმარება ადამიანს ყურადღების კონცენტრაციაში. ეს სტიმულატორები ასევე ზრდის ისეთ მაჩვენებლებს, როგორიცაა ამტანობა. გარდა სტიმულატორისა, შოკოლადის შემადგენლობაში შეიტანეს ამინომჟავა L-ტეანინი, რომელსაც მწვანე ჩაი შეიცავს. ეს ამინომჟავა მომდუნებელ ზემოქმედებას ახდენს და ამგვარად, არტერიულ წნევასაც აქვეითებს. ახალი დესერტის ეფექტურობა უკვ გამოცდილია ლაბორატორიულ პირობებში. მოხალისეთა ერთ ჯგუფს ახალ შოკოლადს აძლევდნენ, მეორეს კი შოკოლად-პლაცებოს. შედეგად ჩატარებული ტესტირებისას აღმოჩნდა, რომ პირველი ჯგუფის წევრბმა გაცილებით მეტი ყურადღება გამოავლინეს.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

2	6	5	1	4	3	8	9	7
8	3	4	5	9	7	2	1	6
1	9	7	8	6	2	5	4	3
7	8	6	9	3	5	4	2	1
5	4	1	7	2	8	6	3	9
3	2	9	6	1	4	7	5	8
9	7	8	4	5	1	3	6	2
6	5	3	2	8	9	1	7	4
4	1	2	3	7	6	9	8	5

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

8	4	6	7	5	2	3	1	9
7	9	5	3	4	1	2	8	6
3	2	1	9	6	8	7	5	4
2	6	4	5	3	9	1	7	8
1	8	3	6	2	7	9	4	5
5	7	9	1	8	4	6	3	2
6	5	2	8	1	3	4	9	7
9	3	8	4	7	6	5	2	1
4	1	7	2	9	5	8	6	3

ᲠᲗᲣᲚᲘ

1	8	9	6	7	5	4	3	2
7	6	3	9	2	4	8	5	1
2	5	4	1	8	3	7	9	6
4	7	5	3	6	2	1	8	9
9	3	8	7	5	1	6	2	4
6	2	1	4	9	8	5	7	3
8	4	2	5	1	9	3	6	7
5	1	7	2	3	6	9	4	8
3	9	6	8	4	7	2	1	5

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

2	1	6	5	9	8	7	4	3
5	4	8	7	6	3	2	1	9
7	9	3	2	1	4	8	6	5
4	8	2	3	5	1	9	7	6
6	7	1	9	4	2	5	3	8
3	5	9	8	7	6	1	2	4
8	3	7	6	2	5	4	9	1
1	2	5	4	3	9	6	8	7
9	6	4	1	8	7	3	5	2

მე-10 გვერდი: 1. ვენტილაცია; 2. ხაზინა; 3. ვარია; 4. ნუღლი; 5. იონჯა; 6. ხიზილალა; 7. ზურგიელი; 8. ნობელი; 9. მელანო; 10. „რიბოკი“; 11. ნაღარა; 12. ზურაბი; 13. ოკარინა; 14. ანოსმია; 15. მარინა; 16. რაისშინა; 17. ნეიმარი; 18. ლოიოლა; 19. ამაო; 20. ნიკე; 21. ლიბრი; 22. ლილა; 23. ზვავი; 24. კუპე; 25. ავანგი; 26. თვე; 27. სერი; 28. „ნოკია“; 29. კრისტოფერ რივი; 30. პირსი; 31. ფსოუ; 32. შივა; 33. რევერსი; 34. ორლი; 35. ჰიმნი; 36. ეტი; 37. ნარი; 38. სუვა; 39. მონმარტრი; 40. ლაურა; 41. არიერგარდი; 42. აფრიკა; 43. ოსპი; 44. დინოზავრი; 45. ტრიფოლიატა; 46. გრავე; 47. ნოე; 48. ფილტვი; 49. იუდა; 50. კაენი; 51. ქსოვა; 52. ფსალმუნი; 53. ფირმანი; 54. სერ; 55. ტარიელი; 56. მონპანსიე; 57. ატა; 58. ოლარი; 59. აგა; 60. ერმაკი; 61. არვე; 62. აუგი; 63. ტირე; 64. კომში; 65. კაზანოვა; 66. მარგალიტა; 67. ფარი; 68. ფხა; 69. „ავეო“; 70. აირანი; 71. რაფა; 72. ახო; 73. ურო; 74. ნო; 75. რაე; 76. ტრილიონი; 77. დრო; 78. აპია; 79. პიცა; 80. არიფი.

მე-12 გვერდი: 1. კაპიტულაცია; 2. ტრავერსი; 3. კაშპო; 4. პომოლოგია; 5. ტალინი; 6. ლიფტი; 7. ტუგრიკი; 8. აზავერი; 9. ერიტრეა; 10. სვია; 11. როულინგი; 12. უჯარმა; 13. იტილი; 14. ფელამუში; 15. გრაფინია; 16. დიპლიპიტო; 17. ონკოლოგია; 18. სიესტა; 19. ორდენი; 20. ილმი; 21. ჯოტია; 22. გაბენი; 23. „რიენცი“; 24. იგავი; 25. ველი; 26. კაპიკი; 27. რილეევი; 28. მუზა; 29. იტრია; 30. კასა; 31. არნო; 32. ნესტო; 33. მორზე; 34. ზაგრები; 35. „სნო“; 36. ლაიოსი; 37. მამაი; 38. კიტო. 39. ლილო; 40. რეგატა; 41. პროზა; 42. აკრიბია; 43. იკაო; 44. ბობ 45. ლეილი; 46. ზეთი; 47. გრო; 48. დინგო; 49. ზიარი; 50. ასა; 51. ელეგია; 52. დო; 53. ქორობია; 54. ტოლსტოი; 55. ბრანდო; 56. ტოია; 57. პორთოსი; 58. ტრიო; 59. ენა; 60. ოე; 61. არე; 62. ერა.

ავტომატი წიგნებით ვაჭრობს

ელექტრონული წიგნებისა და პლანშეტების ეპოქაშიც კი, წიგნის მაღაზიები არ წყვეტენ არსებობას. სწორედ ამ მაღაზიების კლიენტთათვის და კითხვის მოყვარულებისთვის გამოიგონეს სავაჭრო ავტომატი, სახელწოდებით Biblio-Mat, რომელიც სიმბოლურ ფასად — 2 დოლარად, შემთხვევით შერჩევის მეთოდით, მასში მოთავსებულ სხვადასხვა ჟანრის წიგნებს ყიდის. Biblio-Mat კრეატიულმა კომპანიამ Craig Small გამოიგონა. ეს უჩვეულო სავაჭრო ავტომატი კანადაში, ტორონტოს ერთ-ერთ ბუკინისტურ მაღაზიაში დგას. მისმა შემქმნელმა კომპანიამ სრულყოფილად ავტომატური მექანიზმი შექმნა, რომელიც ავტომატში ფულის ჩაგდების შემდეგ, წიგნს მყიდველს მიანვდის. ავტომატი ახალი პროდუქციით პერიოდულად ივსება.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე, ნინი ჯაფარიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

იცხოვრეთ მშვიდად

დაზოგეთ წელიწადში 300 ლარი

ბინა – 60 ლარი

აგარაკი – 100 ლარი

ბინას + აგარაკი = 135 ლარი

დაცვის პოლიციის მიერ დაცული სააგარაკე ზონებია:

წყნეთში, ბეთანიაში, კოჯორში, საგურამოში, შინდისში, ბაბანეულაში, ოქროყანაში, წავკისში, ბორჯომში, ბაკურიანში, კვარიათში, ურეკში, გონიოში, სარფში, ნაგანეტარში, მისაქციელში, ჟოპორტში, გულაჩაურში, არაგვისპირსა და წითელსოფელში.

www.125.ge SECURITY POLICE 125 SECURITY POLICE 125

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

იცხოვრეთ მშვიდად

დაიცავით თქვენი ქონება თანამედროვე დაცვითი სისტემებით

დაცვის პოლიცია თავის საქმიანობას მაღალი კლასის სატრანსპორტო საშუალებებით ახორციელებს. დედაქალაქსა და რეგიონებში მოქალაქეთა უსაფრთხოებას ოპერატიული რეაგირების 60 ეკიპაჟი ემსახურება.

გართობა

1. პირველი ანტიბიოტიკი
2. გერმანული ძაღლის ჯიში
3. სვეტებით შექმნილი დახურული გალერეა
4. ადამ. არანორმალურად პატარა სიმაღლე
5. წონის ერთეული, 100 კგ
6. ქალაქი გერმანიაში
7. ცხენებიანი მრავალადგილიანი კარეტა
8. მკურნალობის ღმერთი რომ. მით.
9. კატის ხმიანობა
10. კანი ფრჩხილის ირგვლივ
11. სიტყვათა წარმოთქმის მანერა
12. თეთრი მკვრივი ბამბის ქსოვილი
13. დატოტვილრქებიანი ცხოველი
14. თავხედური გულახდილობა
15. მდგომარეობა კრიზში
16. დიდი ჩაქუჩი
17. სკვითების მახვილი
18. საბერძნეთის პოლიტიკური პოლიცია
19. ტრაგედიით ცნობილი კუნძული ნორვეგიაში
20. იაპონური ალუბალი
21. ციმბირის დამპყრობი კაზაკი
22. მაუგლის მეგობარი დათვი
23. ფიგურული ფრჩხილი მუსიკაში
24. მოულოდნელი შემოწმება
25. კომპოზიტორი ... ბაბაჯანიანი
26. შავი ფისი
27. საგანგებო დავალება
28. აბესალომის სატრფო
29. პოლონეთის საფესტივალო ქალაქი
30. თხელი, საფლობი ტალახი
31. პურეული მცენარე
32. ამერ. მსახიობი ჯერემი ...
33. ოფიცრის საპარადო სამხრე
34. პარიზის ცნობილი კომკი
35. პერუს დედაქალაქი
36. ძიუდოს შემქმნელი
37. სოფელი ბორჯომის რაიონში
38. წვეტიანი ყინული ხეებზე
39. ჰოლივუდში მოღვაწე ეგვიპტელი მსახიობი ... შარიფი
40. წილი საერთო საქმეში
41. ჟაკ-ივ კუსტოს ხომალდი
42. დაფქვის საზღაური წისქვილში
43. ჟან რენოს კილერის სახელი
44. გამარჯვების ქალღმერთი ბერძ. მით.
45. მიწის საზომი ერთეული ინგლისში
46. მდინარე იტალიაში
47. ძველი ასურეთის დედაქალაქი
48. „ქაჯანას“ ავტორი
49. სოფელი ონის რაიონში
50. ძალიან ბრაზიანი, ანჩხლი
51. ცხოველის სხეულის ბოლო ნაწილი
52. თმის მცენარეული საღებავი
53. „ნისანის“ მოდელი
54. მაწვნის მსგავსი პროდუქტი
55. ცხვრების ჯოგი
56. მწერალი ... შენგელაია
57. შიშველი სხეული ფერწერაში
58. მყუდრო, უშფოთველი ცხოვრება
59. გაზაფხულის ყვავილი
60. გემის წყალქვეშა ნაწი-ლის სარემონტო ნაგებობა
61. მცენარეთა სამყარო